ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ეფექტიანობის შეფასება და არსებული გამოწვევები

მონიტორინგის ანგარიში

საჭიროებები

„მნიშვნელოვანია ბავშვთა დაცვის განყოფილებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.“

„უამრავი საჭიროებაა კრიზისულ ოჯახებთან მიმართებაში და რეალურად ნახევარს ვერ ვუკმაყოფილებთ, იმის გამო, რომ არ არის ბიუჯეტი.“

„ბავშვებს სჭირდებათ დაცვა და მხარდაჭერა.“

პერსპექტივები

„არასამთავრობო ორგანიზაციების როლი უდიდესია კოორდინაციის და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.“

„არცერთი ჩემი კითხვა დაუტოვებიათ უპასუხოდ და რისი შესაძლებლობაც არის, მეხმარებიან.“

არა ძალადობას

შესაძლებლობები

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ეფექტიანობის შეფასება და არსებული გამოწვევები

მონიტორინგის ანგარიში

2022

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის
Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის)
ფინანსური მხარდაჭერით
პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

სარჩევი

ძირითადი შედეგები 5

1. შესავალი 7

კვლევის მეთოდოლოგია 10

2. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები 10

3. საუკეთესო პრაქტიკა 14

4. ძირითადი შედეგები 17

4.1. ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების შექმნის პროცესი და მათი მნიშვნელობა 17

ბავშვთა დაცვის განყოფილების ჩამოყალიბება და მუნიციპალიტეტში სტრუქტურული ერთეულისადმი კუთვნილება 17

ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტებში 19

ბავშვთა დაცვის განყოფილების შექმნის (დაგეგმვის და დანერგვის) პროცესში ჩართულობა და თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან 20

4.2 ბავშვთა დაცვის განყოფილებების შტატი და კვალიფიკაცია 21

კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების აღსრულება - ბავშვთა დაცვის განყოფილებების რეალური შესაძლებლობები 21

ბავშვის მხარდამჭერი პირების პროფესიული გადამზადება 25

4.3 ბავშვთა დაცვის განყოფილებების საქმიანობის სფერო - შესაძლებლობები და გამოწვევები 30

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შეფასება. პრობლემები/გამოწვევები. პერსპექტივა კრიზისული ოჯახების გამოვლენის, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების მიმართულებით საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით 30

ერთიანი მიდგომის დანერგვის პერსპექტივა - ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერის და მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების ერთიან სივრცეში მოქცევის აუცილებლობა 40

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციარებზე გათვლილი მუნიციპალური პროგრამები 40

ბენეფიციარების იდენტიფიცირების და მათი პროგრამაში ჩართვის მექანიზმები 42

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირების და რეფერირების გზები. შესაბამისი გაიდლაინები 43

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის პროგრამების მონიტორინგი და შეფასება 45

ბავშვთა დაცვის განყოფილების სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის ხარისხი 46

განყოფილებების ინსტიტუციური გაძლიერების, მასში შემავალი შტატის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გზები 47

დასკვნა: 49

რეკომენდაციები: 49

ბიბლიოგრაფია: 53

ძირითადი შედეგები

მონიტორინგის ანგარიში ფოკუსირებულია მუნიციპალიტეტების ბაზაზე არსებული ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების **(შემდგომ, ბავშვთა დაცვის განყოფილებები/განყოფილებები)** ეფექტიანობის და არსებული გამოწვევების შესწავლაზე. ყურადღება ეთმობა განყოფილებებში მომუშავე პერსონალის გაძლიერებას, სათანადო პრევენციული ზომების გატარებას და საჭირო რეაგირებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 50 ჩაღრმავებული ინტერვიუ 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში, 2022 წლის ივნის-ივლისში.

საქართველოში არსებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები და მექანიზმები მოითხოვს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისთვის კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკის წარმოებას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ამავე დროს, ბავშვთა უფლებების კოდექსიც მკაფიოდ განსაზღვრავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს. გარდა ამისა, სოციალური სერვისების დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ჯეროვნად გატარებაც მოითხოვს მუნიციპალიტეტების როლის თვისებრივად გაზრდას. შესაბამისად, 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს დაევალათ სტრუქტურული ერთეულების შექმნა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების მიზნით.

დღეს არსებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაც გვთავაზობს რამდენიმე ევროპულ, ავსტრალიურ და ამერიკულ მოდელს, სადაც წამყვანი როლი აკისრია მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებულ ბავშვთა მხარდაჭერის სერვისებს. აღნიშნულ მოდელებს აერთიანებს მულტისექტორული მიდგომა, სერვისების დელეგირება/აუთსორსინგის გამოყენება სერვისების ეფექტურად მიწოდებისთვის და ა.შ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი ჩართულობა, ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის შესახებ წინადადებების განხილვის და მათი უშუალო შექმნის პროცესში (მათი ინტერვენცია უმეტესწილად შემოიფარგლებოდა გაზიარებულ დოკუმენტზე კომენტარებით და წერილობითი რეკომენდაციებით). აღნიშნულმა განაპირობა საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და ასევე საფუძველი ჩაუყარა გარკვეულ ხარვეზებს, რაც

ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის და ფუნქციონირების საწყისი ეტაპიდანვე გამოვლინდა. მონიტორინგის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ არ მომხდარა ბავშვთა დაცვის განყოფილებებისთვის კადრების „ღია“ წესით შერჩევაც. ახალი სტრუქტურის დაკომპლექტება მოხდა არსებული კადრებიდან, მათი ერთჯერადი გადამზადების გზით, რაც, კვლევის რესპონდენტების აზრით, არასაკმარისი იყო. მონიტორინგის პროცესში არაერთხელ აღინიშნა განყოფილებების კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შექმნა. შედეგად, გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების არასათანადო გაცნობიერება.

კვალიფიციური კადრების გარდა, გამოწვევას **კადრების უკმარისობაც** წარმოადგენს - განსაკუთრებით იკვეთება **სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების სიმწირე.**

კვლევამ ასევე გამოავლინა ბავშვთა დაცვის განყოფილებების შესახებ **ინფორმირების დონის ამაღლების საჭიროება,** ვინაიდან გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას განყოფილების შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ განყოფილებების უშუალო ბენეფიციარები, მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შემდგომ, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მათ მუშაობას დადებითად აფასებდნენ. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ხშირ შემთხვევაში **ბენეფიციარებისადმი დამოკიდებულება და სერვისების დროული მიღება/სწორი რეფერირება დამოკიდებულია ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლის პიროვნებაზე/ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე** და იკვეთება სისტემური მიდგომის ხარვეზი. არსებული პრაქტიკით, თუ ბენეფიციარი გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტში, შესაძლოა, დროულად ვერ დაამყაროს კომუნიკაცია ადგილობრივ სტრუქტურებთან და პრობლემა შეექმნას სერვისის მიღებასთან დაკავშირებით. თუმცა კვლევამ გამოავლინა კონკრეტული მაგალითი, როდესაც სოციალური მუშაკის პირადი გადაწყვეტილებით და კონტაქტების საშუალებით განხორციელდა სხვა მუნიციპალიტეტში გადასული ბენეფიციარის (მოზარდის) მონიტორინგი და სათანადო სერვისის მიწოდება.

შესაბამისი უწყებების **თანამშრომლობის და კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობა** კარგად აქვთ გაცნობიერებული როგორც ბავშვთა დაცვის განყოფილებების წევრებს, ასევე დარგის ექსპერტებს და ხშირად, ბენეფიციარებსაც.

ბავშვთა დაცვის განყოფილებების მხრიდან **კრიზისული ოჯახების იდენტიფიცირება შედარებით ძლიერი მხარეა**, თუმცა აქაც **ბარიერად გვევლინება შეზღუდული ადამიანური და მატერიალური რესურსები.** მაგ.: ტრანსპორტის უქონლობა მთიან ან/და შედარებით შორეულ სოფლებში მისასვლელად. ასევე, სპეციალიტების არასაკმარისი რაოდენობა აფერხებს პოტენციური ბენეფიციარების სრულად გამოვლენას; პრობლემას წარმოადგენს **მუნიციპალური სერვისების სიმწირე**, რაც მნიშვნელოვნად **ასუსტებს ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლის მოტივაციას,** რადგან კრიზისული ოჯახების გამოვლენისას, ვერ ახდენს საჭირო დახმარების აღმოჩენას.

აღნიშნული არა მარტო აკნინებს თავად ინსტიტუტის როლს, გარკვეულწილად **უნდობლობას იწვევს ბენეფიციარების მხრიდან.**

გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნიდან დღემდე **არ ჩატარებულა მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება,** რაც ხელს შეუწყობდა პრობლემების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებას და განყოფილებების ფუნქციონირების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლევაში ჩართული პირები აცნობიერებდნენ **ბავშვთა დაცვის განყოფილებების მნიშვნელობას კრიზისული ოჯახების გამოვლენის და ძალადობის პრევენციის კუთხით.** მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა არსებული ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და აღნიშნული ინსტიტუტის განვითარების სამომავლო პერსპექტივები, რაც რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, **სხვადასხვა შესაბამისი უწყების კოორდინირებულ მუშაობას და მულტისექტორული თანამშრომლობის მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს.**

მუნიციპალიტეტებისათვის რეკომენდაციები მოიცავს: ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილებების წარმომადგენლების უწყვეტი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებით უზრუნველყოფას; შესაბამისი ინსტრუმენტების/გაიდლაინების შექმნასა და გაუმჯობესებას; ბენეფიციარების საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სერვისების დანერგვას და გამრავალფეროვნებას; მომსახურების არეალის გაზრდას; ბენეფიციარების იდენტიფიცირების სისტემის გაუმჯობესებას და კონფიდენციალობის პრინციპების უკეთ დაცვას; განყოფილებების ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური თუ მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას და ა.შ. ამას გარდა, სხვადასხვა უწყებისთვის რეკომენდაციები ითვალისწინებს: საკანონმდებლო სტანდარტების აღსრულებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფას, ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას და ა.შ.

1. შესავალი

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენის სირთულე მის „უხილავობაში“ გამოიხატება და სათავეს იღებს საზოგადოების მენტალიტეტიდან და გაბატონებული კულტურული სტერეოტიპებიდან. ბავშვთა კეთილდღეობას საფრთხის ქვეშ აყენებს მათდამი არასათანადო მოპყრობა და უგულებელყოფა, რაც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან.

ძალადობრივ გარემოში ცხოვრება ბავშვებისთვის, სხვადასხვა გართულებული ფორმით ვლინდება, კერძოდ: **ქცევითი, სოციალური, ემოციური** (აგრესია, ბრაზი, შიში, შფოთი, დეპრესია და ა.შ.), **კოგნიტური და დამოკიდებულებითი** (დაბალი აკადემიური მოსწრება, გენდერული სტერეოტიპების და ძალადობრივი ქცევის

უპირობო მიმღებლობა, კონფლიქტის და პრობლემების დარეგულირების დაქვეითებული უნარები/უუნარობა და ა.შ.), **გახანგრძლივებული პრობლემები** (ზრდასრულ ასაკში დეპრესიის და ტრავმის სიმპტომების და ძალადობრივი ქცევის მიმღებლობის მაღალი მაჩვენებელი). ბავშვთა კეთილდღეობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ ერთი სტრუქტურული ერთეულის ან პროფესიული ჯგუფის ვალდებულება[1]. **გადამწყვეტია საკითხისადმი ჰოლისტური მიდგომა.[2][3] ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების როლი და მათი გაძლიერებული ჩართულობა[4].**

2018 წელს მუნიციპალიტეტებისა და გაეროს წარმომადგენლების შეხვედრისას, სადაც იმსჯელეს ბავშვების და ოჯახების კეთილდღეობისთვის საჭირო სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა განაცხადა: ***„მუნიციპალიტეტებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ ბავშვების ძალადობისგან დაცვის... და დახმარების საქმეში“*** და ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტების მხრიდან აუცილებელი მომსახურების მიწოდების ვალდებულებას ბავშვისა და ოჯახის უფლებების დაცვისათვის.

ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ (Save the Children) მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია **ადგილობრივი ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა ბავშვზე მორგებული, <u>პრევენციასა და დროულ რეაგირებაზე</u> მიმართული სერვისების ჩამოყალიბებაში,** რაც გულისხმობს რეფერირების და რეაგირების, ასევე რეაბილიტაციისა და „შემთხვევის მართვის“ პროგრამების შემუშავებას და ამოქმედებას. ეს კი, უპირველესად, საჭიროებს **სოციალური მუშაკების როლის ინსტიტუციურ გაძლიერებას,** მაგ.: ბავშვებთან/ოჯახებთან მომუშავე კადრების

---

1 Child Protection in Families Experiencing Domestic Violence. H. Lien Bragg, 2003. Child Abuse and Neglect user Manual Series U.S. Department of Health and Human Services Administration for Children and Families Administration on Children, Youth and Families Children's Bureau Office on Child Abuse and Neglect. გვ. 1. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=iGpHAAAAMAAJ&oi=fnd&pg=PP8&dq=Child+Protection+in+Families+Experiencing+Domestic+Violence.+H.+Lien+Bragg,+2003.&ots=JgBErmjFa1&sig=UHSv- by-BOlhcxj3Z0OvrYeVILcs&redir–esc=y№v=onepage&q=Child%20Protection%20in%20Families%20Experiencing%20Domestic%20Violence.%20H.%20Lien%20Bragg%2C%202003.&f=false

2 Children as Victims of Violence in the Municipalities of Bujanovc and Presevo: The Forms of Manifestation. Journal of Modern Education Review, ISSN 2155-7993, USA. September 2014, Volume 4, No. 9, pp. 699–708 Doi: 10.15341/jmer(2155-7993)/09.04.2014/006 Academic Star Publishing Company, 2014. გვ. 1. ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/288124376–Children–as–Victims–of–Violence–in–the–Municipalities–of–Bujanovc–and–Presevo–The–Forms–of–Manifestation

3 Violence against women. Public policies on domestic violence. Gender, Ethnicity and Health Unit. Pan American Health Organization (regional office of World Health Organization). გვ.14. ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/306012171–Violence against Women The–Health–Sector–Responds–V –Pan–American–Health–Organization–Pan–American–Health–Organization

4 The Role of Local Governments in protection of Children Rights Based on the Law of Child Protection. By: Laurensius Arliman S. Graduate Student of Andalas University Limau Manis, Padang, West. August 2017. გვ. 6-9.

ტრენინგი უნდა **ფოკუსირდეს ძალადობის იდენტიფიცირებაზე, რეფერირებასა და კონფიდენციალურობის დაცვაზე.**

გარდა ამისა, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სისტემის მდგრადობის და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც რეაგირების და რეფერირების მექანიზმების კოორდინირებული მუშაობა, ასევე პრევენციული მექანიზმების გაძლიერება, რაც სათანადო ფინანსურ რესურსს მოითხოვს[5].

პანამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისთვის (ოჯახში ძალადობის მიმართულებით) მუნიციპალური პოლიტიკის სტრატეგიის ფარგლებში, პრევენციის სამი დონე არსებობს: **პირველადი დონე** - მოიცავს ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი სექტორების კოორდინირებულ მუშაობას ოჯახში ძალადობის პრევენციის სტრატეგიების შემუშავებისათვის და ძალადობის, როგორც სოციალური პრობლემის, აღიარებისათვის; **მეორე დონე** - გულისხმობს ოჯახში ძალადობის შეჩერებას, მისი იდენტიფიცირებისთანავე, ჯანდაცვის სერვისების ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. ეს კი მოითხოვს მულტისექტორულ, კოორდინირებულ მუშაობას ძალადობის მსხვერპლების და ბავშვების დასაცავად; **მესამე დონე** - ოჯახში ძალადობის შედეგების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური) აღმოფხვრაზე მუშაობა. მოიცავს კონსულტირებას, სამედიცინო მომსახურებას და მხარდამჭერ ჯგუფებს[6].

ადგილობრივ დონეზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადებისა და განხორციელების, ასევე, დაინტერესებულ პირთა შორის, (მათ შორის შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან) კოორდინირებული მუშაობის მიზნით, 2019 წელს, ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებები შეიქმნა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მუნიციპალიტეტების ბაზაზე არსებული ბავშვთა უფლებების დაცვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობის და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლა და მიღებული მონაცემების და მიგნებების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მათი ინსტიტუციური გაძლიერების და საქმიანობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

---

5 Strengthening Child Protection Systems. Save the Children. Published by Save the Children UK 1 St John's Lane, London, EC1M 4AR, UK. © Save the Children 2019. გვ. 13-44. ხელმისაწვდომია: https://resourcecentre.savethechildren.net/pdf/strengthening–child–protection–systems.pdf/

6 Violence against women. Public policies on domestic violence. Gender, Ethnicity and Health Unit. Pan American Health Organization (regional office of World Health Organization). გვ.14. ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/306012171–Violence Against Women–The–Health–Sector–Responds– –Pan–American–Health–Organization–Pan–American–Health–Organization

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის პროცესში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები: სამაგიდე კვლევა (Desk Research), ჩაღრმავებული ინტერვიუ.

სამიზნე მუნიციპალიტეტები: 10 (ჩოხატაური, ტყიბული, ქობულეთი, ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა)

სამიზნე ჯგუფები: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები, საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის: World Vision, UNICEF, SOS ბავშვთა სოფელი, ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა და ა.შ.), ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

ჩაღრმავებული ინტერვიუების რაოდენობა: 50

საველე სამუშაოები: მიმდინარეობდა 2022 წლის ივნისსა და ივლისში

2. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში **დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით**[7]. ეს უფლება პოზიტიურ დამოკიდებულებაშია სახელმწიფოსთან და მისგან დაკისრებული ვალდებულების შესრულებას ითხოვს. კერძოდ, სახელმწიფო ზრუნავს არა მხოლოდ დედათა და ბავშვთა სოციალურ უფლებებზე, რაც უპირველეს ყოვლისა, მათ არსებობის მინიმალური საშუალებებით, ჯანმრთელობის დაზღვევით, სოციალური დახმარების სხვა კომპონენტებით უზრუნველყოფას გულისხმობს, არამედ კანონმდებლობით იცავს ოჯახს ძალადობის სხვადასხვა ფორმისაგან. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით[8].

2017 წელს, როცა საქართველომ **„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადო-**

7 საქართველოს კონსტიტუცია, მ30.2პ. ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

8 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი გვ. 449, 2013. ხელმისაწვდომია - http://www.library.court.ge/upload/Constitution–Commentary–Human–Rights.pdf

ბის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდასაჭერად გაცილებით ქმედითი - **კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკა** აწარმოოს. სწორედ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციას ეთმობა კონვენციის მესამე თავი, სადაც მე-17 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს **საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებას ბავშვზე ძალადობის ნეგატიური შედეგების** შესახებ. ხოლო დაცვისა და მხარდაჭერის თავში წარმოდგენილი მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის ჩამონათვალში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებები და მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს დაცვისა და მხარდაჭერის სერვისები. გარდა ამისა, კონვენციის 26-ე მუხლი, ხელმომწერ მხარეებს ბავშვი მოწმეების დაცვისა და დახმარებისთვის ყველა საჭირო საკანონმდებლო ან შესაფერის ასაკობრივ ჯგუფზე ორიენტირებული **ფსიქოსოციალური კონსულტაციების** გაწევის ვალდებულებას აკისრებს.

გარდა „სტამბოლის კონვენციისა", საქართველო 1994 წელს **„ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციას** (მიღების თარიღი: 1989 წლის 20 ნოემბერი) შეუერთდა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულებები, მათ შორის - დაიცვას ბავშვი მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან; ასევე დაიცვას ბავშვი დაუდევრობისგან, უხეში მოპყრობისგან, ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან[9].

2019 წელს საქართველომ ბავშვის უფლებათა კონვენციის 30 წლის იუბილეზე **„ბავშვის უფლებათა კოდექსი"** მიიღო (მიღების თარიღი: 20.09.2019), რითაც ბავშვთა უფლებების დაცვა თვისებრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანა. ეს არის პირველი ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საჭირო კონკრეტულ, ეფექტურ მექანიზმებს მოიცავს[10]. კოდექსის მესამე წიგნი მთლიანად ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ინსტიტუციურ გარანტიებს ეთმობა. მოცემული კოდექსის 85-ე მუხლი კი ითვალისწინებს **ბავშვის უფლებების ეფექტიანი დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, <u>უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ</u> ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის**

9 გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ", მ19. ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

10 პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო კილაძის განცხადება, რომელიც ამ კოდექსის შემუშავების სამწლიან პროცესს ხელმძღვანელობდა. ხელმისაწვდომია - shorturl.at/muvKP

პროგრამების შემუშავების ვალდებულებას, რომელთა მიზნებია:

- ბავშვის სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის განათლების ხელშეწყობა;
- ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ბავშვზე ზრუნვის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების ფუნქციონირების უზრუნველყოფა[11].

აღნიშნული კოდექსის მე-12 თავი განსაზღვრავს უფლებამოსილებებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროებში, სადაც 96-ე მუხლში გაწერილია უშუალოდ **მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებები**. კერძოდ, მოცემული მუხლის მესამე ნაწილი მუნიციპალიტეტს ავალდებულებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში[12]. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ძალაში შესვლის შემდეგ, სექტემბრიდან, მუნიციპალურ დონეზე შეიქმნა **ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებები,** საქართველოში მოქმედ სხვა ეროვნული საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებისა და მუნიციპალიტეტის მერიის დებულებ(ებ)ით, მერის ბრძანებ(ებ)ით დამტკიცებული ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცი(ებ)ის[13] შესაბამისად.

---

11 ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ 85 (1-2) ხელმისაწვდომია - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

12 იქვე, მ 96,3.

13 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (№24 2019 წლის 23 სექტემბერი) ხელმისაწვდომია - https://tsalenjikha.gov.ge/sites/default/files/danarti–1jandacva.pdf

შენიშვნა: თითოეულ მუნიციპალიტეტში მოცემული განყოფილებები ინტეგრირებულია განსხვავებულად მანამდელ არსებულ განყოფილებებთან.

მუნიციპალიტეტების საკრებულოს დადგენილების თანახმად, განყოფილებები შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა:

- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების **ბავშვის სოციალური მუშაკი**;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების **ბავშვის ფსიქოლოგი**;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების **ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი**;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების **სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი (იურისტი)**;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების **ბავშვის დაცვის ინსპექტორი**,

რომელთა ფუნქციები და უფლებამოსილებებიც გაწერილია ზემოაღნიშნულ ადგილობრივ ნორმატიულ აქტში[14].

სწორედ ამ საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმების ჯეროვნად შესრულება განაპირობებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ეფექტიან პრევენციას, მსხვერპლთა მხარდაჭერასა და დაცვას. თუმცა, უკვე ორი წელია საგანგაშოდ ჭიანურდება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ახალი სამოქმედო გეგმის მიღება. შესაბამისად, ვერ ხერხდება ყველა პასუხისმგებელი უწყების კონკრეტული ვალდებულებების და მოქმედებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ანგარიშვალდებულება და განხორციელებული ღონისძიებების შესრულების ხარისხის შეფასება. არ გვაქვს სახელმწიფო აუდიტის ახალი ანგარიშიც, რომელიც წინამორბედი, 2018-20 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხს შეაფასებდა. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით კი **ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისების, შესაბამისი სპეციალისტების სიმცირე და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა**[15]. ჯერ კიდევ პრობლემურია მუნიციპალურ

14 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 23 სექტემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მ.5(8,9,10,11,12). ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4960518?publication=0

15 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ გვ. 269, 2021 წ. ხელმისაწვდომია - https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf

დონეზე საკანონმდებლო აქტების სრულყოფილად შედგენა. ამას მოწმობს თუნდაც ფონდი „სოხუმის“ მიერ გაანალიზებული ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების დებულებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის ასლია და ყოველთვის ვერ ერგება მუნიციპალიტეტებში არსებულ სპეციფიკურ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

3. საუკეთესო პრაქტიკა

გერმანია - გერმანიის ფედერალური მოწყობიდან გამომდინარე, ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული კანონები განსხვავდება ფედერალურ და სამხარეო (Bundesländer) დონეებზე. თითოეულ ფედერაციულ მხარეში ბავშვთა კეთილდღეობის სერვისები **მუნიციპალიტეტების მიერ არის ორგანიზებული და** განსაზღვრავენ იმ მხარდაჭერის პროგრამებსა და სტრუქტურებს, რომლებსაც სთავაზობენ **ბავშვთა და ახალგაზრდების კეთილდღეობის ადგილობრივი ოფისები** (Jugendämter - youth welfare offices). Jugendämter-ის ფუნქციებში შედის სერვისების მიწოდება ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, მათ შორის სოციალური მუშაობა, საგანმანათლებლო სერვისები, კონსულტაციები მშობლებისთვის და ა.შ. ასევე ევალებათ გამოიკვლიონ, იმყოფება თუ არა ბავშვი საფრთხის ქვეშ. სერვისების მიწოდება შეიძლება **იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, მაგრამ ახორციელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.** როდესაც კრიზისულ ოჯახში რისკის შეფასება ხდება, იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული სოციალური მუშაკი ვერ უმკლავდება პრობლემას, ერთვებიან მისი კოლეგები. Jugendämter საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს სხვადასხვა სერვისს ოჯახს (მშობლებს აქვს შეთავაზებული სერვისების არჩევის უფლება). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვს არ ემუქრება ძალადობის სერიოზული საფრთხე, **ოჯახს სთავაზობენ ისეთ დამხმარე სერვისებს, როგორებიცაა: კონსულტირება, სოციალური მუშაკის მხარდაჭერა, ადრეულ ეტაპზე დახმარების პროგრამები და ა.შ.**[16]

აშშ - ბავშვთა მხარდაჭერის და კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე პროფესიონალები ხშირად სხვა „აქტორებთან“ ერთად მუშაობენ და არა ინდივიდუალურად, მაგ.: სამართალდამცავი სტრუქტურები, სასამართლო, სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლები და ა.შ. წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია 5 შტატის მაგალითი და მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა მიდგომა ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის თვალსაზრისით, რომელთაგან გამოვყოფთ ორ საინტერესო მიდგომას, მაგ.: მასაჩუსეტსა და ორეგონში „ბავშვთა დაცვის სერვისები“ (CPS - Child Protection Services - ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სოციალურ მუშაობაზე) **ინტერსექტორული**

16 Hestia. Briefing on the German Child Protection System. Susanne Witte, Laura Miehlbradt, Eric van Santen & Heinz Kindler. September 2016. გვ. 1-5. ხელმისაწვდომია: https://welfarestatefutures.files.wordpress.com/2016/11/hestia-whitepaper-german-child-protection-system-aug2016.pdf

მიდგომის საფუძველზე ფუნქციონირებს (სერვისების განხორციელებაში თავიდან-ვე ჩართულია სხვადასხვა რელევანტური უწყება); ამის საპირისპიროდ, სან-დიეგო-ში „ბავშვთა ბიურომ" დააფუძნა ახალი სტრუქტურული ერთეული სპეციფიკურად იმ საქმეებისთვის, რომლებიც „ბავშვთა დაცვის სერვისებს" (CPS-Child Protection Services) ეხება და ფოკუსირებულია არსებული პრაქტიკების შეცვლაზე, ასევე ტრე-ნინგს უტარებს „ბავშვთა დაცვის სერვისების" მუშაკებს [სოც. მუშაკი] ოჯახში ძა-ლადობასთან გამკლავების შესახებ.[17].

ავსტრალია - კრიზისული ოჯახისადმი და ოჯახში ძალადობისადმი კომპლექსური, „ინტეგრირებული რეაგირება", საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულია, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. ტერმინი „ინტეგრირებული რეაგირება" გულის-ხმობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სექტორების კოორდინირებულ მუშაობას, ოჯახისადმი და ქალების და ბავშვებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე, ძალადობრივ გარემოსთან გამკლავების მიზნით. რისკების შეფასებისა და მართვისთვის, პროგრამების პროვაიდერები კოორდინირებულად მუ-შაობენ შესაბამის ადგილობრივ უწყებებთან, რაც გულისხმობს: შეფასებას, მართვას და მონიტორინგს, საპასუხო სერვისების კოორდინირებას, რეფერირების პროცედუ-რებს, კონსულტირებას, ბავშვის დაცვის შესახებ პრობლემების აღრიცხვას და ა.შ.[18]

ლიტვა - მუნიციპალური ორგანოები და დაწესებულებები ახდენენ სოციალური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და ოჯახისთვის აუცილებელი სხვა სერვისების ორ-განიზებასა და დაფინანსებას; აანალიზებენ ბავშვის კეთილდღეობის სტატუსს მუნი-ციპალიტეტში, გეგმავენ და უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვის ღონის-ძიებებს; ოჯახსა და ბავშვს უზრუნველყოფენ **პირველადი კონსულტაციებით და აწ-ვდიან სოციალურ მომსახურებას** (სოც. მუშაკის მიერ) და, აუცილებლობის შემთხვე-ვაში, ხდება სხვა სპეციალისტების და სხვა მუნიციპალური ორგანოების ჩართვაც; ახდენენ სხვადასხვა უწყების და ორგანიზაციის კოორდინირებას ბავშვის და ოჯახის კეთილდღეობის საკითხზე მუშაობისთვის; აწარმოებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრე-ბი ბავშვების აღრიცხვას; უწევენ დახმარებას საგანმანათლებლო საჭიროებებისას.[19]

ფინეთი - ბავშვთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა კონსტიტუციითაა გამყარებუ-ლი (ასევე განისაზღვრება ევროპის ადამიანის უფლებათა და გაეროს ბავშვთა უფ-ლებების დაცვის კონვენციებით). **ადგილობრივ ხელისუფლებებს თითოეულ მუნი-**

---

17 Efforts by Child Welfare Agencies to Address Domestic Violence: The Experiences of Five Communities. Laudan Y. Aron and Krista K. Olson The Urban Institute. March 1997. ხელმისაწვდომია:https://www.aspe.hhs.gov/reports/efforts-child-welfare-agencies-address-domestic-violence-experiences-five-communities-0

18 Practice Standards for Perpetrator Intervention: Engaging and Responding to Men who are Perpetrators of Family and Domestic Violence. Department of Attorney General and Justice (2012). Published by the Department for Child Protection and Family Support, Family and Domestic Violence Unit 2015. გვ. 2-15. ხელმისაწვდომია: https://www.wa.gov.au/system/files/2021-10/Practice-Standards-for-Perpetrator-Intervention.pdf

19 The Lithuanian child rights protection system. State Child's Rights Protection and Adoption Service (under the Ministry of Social Security an Labour). ხელმისაწვდომია: https://vaikoteises.lt/protection-of-children/the-lithuanian-child-rights-protection-system-/

ციპალიტეტში ევალებათ ბავშვთა კეთილდღეობის სერვისების ორგანიზება. თვითმმართველობას შეუძლია აღნიშნული სერვისები თავად მიაწოდოს ბენეფიციარებს, ან **შეისყიდოს სხვა ორგანიზაციებისგან (ამ შემთხვევაში მათ ევალებათ მონიტორინგის განხორციელება)**. ამას გარდა, სხვადასხვა ორგანიზაცია ჩართულია სერვისების მიწოდებასა და განვითარებაში. ადგილობრივი ხელისუფლებების პასუხისმგებლობა მოიცავს ბავშვისა და მისი ოჯახისათვის იმ სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფას, რომლებიც **სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად მიიღება**[20].

ნორვეგია - ყოველი მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია, ჩამოაყალიბოს ბავშვთა კეთილდღეობის სამსახური (Child Welfare Service), რომელიც კანონთან შესაბამის მუშაობას განახორციელებს ბავშვთა დაცვისა და ოჯახის დახმარების კუთხით, ახდენს რეფერირებას (ძალადობის შედარებით მძიმე შემთხვევებისას, მაგ., მინდობით აღზრდის საჭიროება). მუნიციპალიტეტის საქმიანობას მონიტორინგს უწევს გუბერნატორი - შეასრულა თუ არა ბავშვთა დაცვის სამსახურმა საკუთარი ვალდებულებები და არის თუ არა მის მიერ გატარებული ღონისძიებები შესაბამისობაში კანონთან ბავშვთა დაცვის შესახებ. ამას გარდა, გუბერნატორი წარმოადგენს ადმინისტრაციულ სააპელაციო ერთეულს/ორგანოს, როდესაც ინდივიდუალურ დონეზე უნდა მოხდეს რეაგირება მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებზე, მაგ.: თუ ბენეფიციარი გამოთქვამს უკმაყოფილებას არასათანადო მომსახურების მიღების ან მიუღებლობის შესახებ, გუბერნატორის გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს ევალება რეაგირება. შემდგომ, გუბერნატორი მონიტორინგს უწევს ბავშვებისთვის სათანადო სერვისის მიწოდებას[21].

ნიდერლანდები - მუნიციპალიტეტები და ცენტრალური ხელისუფლება ერთობლივად მუშაობენ ოჯახში ძალადობასთან გამკლავების ღონისძიებებზე. 2015 წლის იანვრიდან მუნიციპალიტეტებს დაეკისრათ ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პასუხისმგებლობა, რის შემდეგაც შეიქმნა სტრუქტურა Veilig Thuis ("Safe at Home" - „შინ უსაფრთხოდ“). მუნიციპალიტეტები უშუალოდ აგებენ პასუხს ქალთა თავშესაფრებზე და საკონსულტაციო ცენტრებზე. ამას გარდა, მუნიციპალიტეტები აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობენ სხვადასხვა უწყებასთან, მაგ.: ჯანდაცვის სექტორი, პრობაციის სააგენტო, პოლიცია და ა.შ. ნიდერლანდების მუნიციპალიტეტების ასოციაციამ შეიმუშავა **სახელმძღვანელო, რომელიც ეხებოდა ბავშვთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, სადაც გაწერილია შესაბამისი სტრატეგია, მიდგომები** და აუცილებელი უნარ-ჩვევების შესახებ ინფორმაცია.

20 Ministry of Social Affairs and Health – Finland. ხელმისაწვდომია: https://stm.fi/en/social-services/child-welfare

21 County Governor - Statsforvalteren.no. Child protection ხელმისაწვდომია: https://www.statsforvalteren.no/en/portal/Children-and-parents/Child-protection/

4. ძირითადი შედეგები

4.1. ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების შექმნის პროცესი და მათი მნიშვნელობა

ბავშვთა დაცვის განყოფილების ჩამოყალიბება და მუნიციპალიტეტში სტრუქტურული ერთეულისადმი კუთვნილება

ფონდი „სოხუმის“ მიერ მონიტორინგის ანგარიშისათვის განხორციელებული კვლევის ფარგლებში ჩართულ მუნიციპალიტეტებში (ჩოხატაური, ტყიბული, ქობულეთი, ბაღდათი, ვანი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა) ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებები ჩამოყალიბდა თითქმის ერთდროულად - 2020 წლის 1 სექტემბრიდან - 1 ოქტომბრამდე. აღნიშნული განყოფილებები მუნიციპალიტეტების მიხედვით გაერთიანებულია შემდეგ სამსახურებში: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ზუგდიდი, ქობულეთი, სენაკი, თერჯოლა, ჩოხატაური); ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური[22] (ვანი, თერჯოლა); სოციალური და ბავშვთა დაცვის სამსახური (წალენჯიხა). ტყიბულში - განყოფილება წარმოდგენილია ცალკე სტრუქტურული ერთეულის სახით. რაც შეეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტს, მოცემულ ეტაპზე ჯერ არ ჩამოყალიბებულა ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება (კვლევაში მონაწილე რესპონდენტი ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს ადამიანური რესურსის/კვალიფიციური კადრების ნაკლებობას). (იხ. ცხრილი №1)

22 თუმცა კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა, ბავშვთა დაცვის განყოფილება გაერთიანებულიყო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურში, ვინაიდან ადმინისტრაციული სამსახური მრავალი მეორადი სტრუქტურული ერთეულისგან შედგება და ბავშვთა დაცვის განყოფილების ფუნქცია ერთგვარად „იკარგება“.

ცხრილი №1

მუნიციპალიტეტი	მოქმედი თანამშრომლები
ჩოხატაური	განყოფილების უფროსი და ინსპექტორი. სოციალური მუშაკის ფუნქციის შეთავსება უწევს **თემის სოციალურ მუშაკს** (გადამზადება გაიარა განყოფილების სოციალურმა მუშაკმა, თუმცა საბოლოოდ აღარ ისურვა დასაქმება ამ მიმართულებით).
ტყიბული	სრულად დაკომპლექტებულია შტატები: 2 სოციალური მუშაკი, იურისტი, ინსპექტორი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი, სამსახურის უფროსი.
ქობულეთი	2 სოციალური მუშაკი, ჯანდაცვის სპეციალისტი, განყოფილების კოორდინატორი, იურისტი.
ვანი	განყოფილების უფროსი, ინსპექტორი და სოციალური მუშაკი.
თერჯოლა	მუნიციპალიტეტში კოორდინატორის ფუქციას ითავსებს ადმინისტრაციის უფროსი. განყოფილებას ჰყავს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი. იურისტის ფუნქციას ითავსებს მერიის იურისტი.
ზუგდიდი	სრულად დაკომპლექტებულია შტატები: სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი, ინსპექტორი, კოორდინატორი.
სენაკი	მენეჯერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ინსპექტორი.
წალენჯიხა	სოციალური მუშაკი, იურისტი, ინსპექტორი.
ბაღდათი	სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი, კოორდინატორი.

ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის საჭიროება მუნიციპალიტეტებში

ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის საჭიროება რამდენიმე ფაქტორმა წარმოშვა: პროცესებს წინ უძღოდა ბავშვთა უფლებების კოდექსის შექმნა და ამოქმედება. ასევე, ქვეყანაში არსებული სოციალური მიმართულების დეცენტრალიზაციის პოლიტიკა, რაც **გულისხმობს მუნიციპალიტეტების უშუალო ჩართულობას სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში -** საჭირო იყო, სოციალური სერვისების მიწოდება გამხდარიყო უფრო მობილური, პარალელურად იკვეთებოდა ბავშვზე ძალადობის ფაქტები, ძალადობის პრევენციის სუსტი პოლიტიკა. შესაბამისად, აუცილებელი იყო იმ ოჯახების გაძლიერება და მხარდაჭერა, რომლებსაც მრავალმხრივი საჭიროებები აქვთ. ***„ყველა პროგრამა აწყობილია იმაზე, რომ როდესაც მოხდება ფაქტი, შემდეგ მოხდეს რეაგირება... ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პრევენციული ღონისძიებები წინმსწრებად ხორციელდებოდეს,“*** - თინათინ ჭელიშვილი, იმერეთის განვითარების ცენტრის კოორდინატორი, თემის განვითარების ფასილიტატორი. **კვლევამ (რესპონდენტების დიდი ნაწილი ამას მიუთითებს) სწორედ ბავშვთა დაცვის განყოფილებების, როგორც პრობლემების/ძალადობის/კრიზისული სიტუაციების პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმის საჭიროება აჩვენა.**

მუნიციპალიტეტი არის ადგილობრივ მოსახლეობასთან/მოწყვლად ჯგუფებთან ყველაზე ახლოს მდგომი რგოლი და ყველაზე უკეთ მას უნდა შეეძლოს მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირება და შემდგომი რეაგირება: ***„გადამწყვეტი იყო ასევე ის, რომ სოციალური მუშაკის რესურსები იყო შეზღუდული, ოჯახში შესვლის შემდეგ იმდენ პრობლემებს აღმოაჩენ და შენ შიშველი ხელებით შესული ვერაფერს აკეთებ. ამიტომ, მნიშვნელოვანი იყო ამ კუთხით მუნიციპალიტეტის როლი, მუნიციპალიტეტს აქვს რეალური ბერკეტი, პროგრამები, ბიუჯეტი იმ კუთხით, რომ შეუძლია მეტი გააკეთოს, ვიდრე ჩვენ,“*** - სამიზნე მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი.

კონკრეტული მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ **ბაღდათის** მერიის ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის მარეხ მშვენიერაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება: როდესაც World Vision-ის მიერ შექმნილი ბავშვთა უფლებების დამცველი ჯგუფი არსებობდა მუნიციპალიტეტში, მერის წარმომადგენლისგან არაერთი შემთხვევის რეფერირება განხორციელდა მათთან, რომლებიც ეფექტიანად მართეს. როგორც რესპონდენტმა მიუთითა, აღნიშნული ჯგუფის დახმარებით, მუნიციპალურ ბიუჯეტში შევიდა ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. სწორედ **ჯგუფის მუშაობის პროცესში გახდა თვალსაჩინო ოჯახის გაძლიერების საჭიროება, რაც მშობლების დასაქმებასაც მოიცავდა.** აღნიშნული პროგრამა World Vision-ის ფინანსური დახმარებით ამოქმედდა, ხოლო მას შემდეგ, რაც პროგრამა ეფექტიანი აღმოჩნდა, ის ინტეგრირდა მუნიციპალურ ბიუჯეტში.

სამტრედიის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დახმარების საგენტოს სოციალური მუშაკი მიუთითებს ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე და იმ ცალსახა პოზიტიურ როლზე, რასაც ბავშვთა დაცვის განყოფილება, არსებობის შემთხვევაში, შეასრულებდა როგორც ბენეფიციარებთან, ასევე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან მიმართებაში: ***„დიდი შვება იქნებოდა, რომ ყოფილიყო ეს განყოფილება და დაკომპლექტებული იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით. ბავშვთა განყოფილება იმუშავებდა უფრო პროგრამულ ნაწილში. 3 სოციალური მუშაკის არსებობის მიუხედავად, ჩვენ საკმაოდ ბევრ საქმეზე ერთდროულად ვმუშაობთ არა მარტო ბავშვებთან... უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტს მეტი რესურსი აქვს პროგრამული კუთხით, ვიდრე ჩვენ, ასევე მნიშვნელოვანია იდენტიფიკაციის კუთხით მათი უზარმაზარი რესურსი მერის წარმომადგენლების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა და გააუმჯობესებდა როგორც სხვა სერვისის მიმწოდებლების მუშაობას, ასევე ბენეფიციარების მდგომარეობასაც“.***

ბავშვთა დაცვის განყოფილების შექმნის (დაგეგმვის და დანერგვის) პროცესში ჩართულობა და თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა **არ ყოფილა უშუალოდ ჩართული ბავშვთა დაცვის განყოფილებების დაგეგმვის და შექმნის პროცესში.** მაგ.: ექსპერტების უმეტესობის ჩართულობა წერილობითი რეკომენდაციებითა და კომენტარებით შემოიფარგლა, რაზეც, მათივე მტკიცებით, უკუკავშირიც კი არ მიუღიათ. შესაბამისად, ბავშვთა დაცვის განყოფილების სპეციფიკის, მისი მნიშვნელობის და ფუნქციის გაცნობიერება განყოფილების წარმომადგენლების მიერ აღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში ან უფრო გვიან ეტაპზე ხდებოდა.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტები ასახელებენ კონკრეტულ პირებს/ორგანიზაციებს/სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს, ვინც გაუწია **მეთოდოლოგიურ-ფინანსური მხარდაჭერა ბავშვთა დაცვის განყოფილებების ჩამოყალიბებას.** კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი „აქტორი“:

- ✓ **საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი;**
- ✓ **ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა** (მეთოდოლოგიური დახმარება - შეიმუშავეს სკრინინგის ფორმები, რაც ზიანის რისკის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, ასევე აღწერს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სკრინინგი, როგორ მოხდეს ოჯახის შეფასება. გამოვლინდეს, ზიანის რისკის მიხედვით ოჯახი რომელ დონეს მიეკუთვნება);
- ✓ **საკითხის ექსპერტები:** პაატა ტურავა (ბავშვთა დაცვის კოდექსის თანაავტორი), ზვიად კორძაძე, მანანა ფიცხელეიშვილი;

- ✓ **მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი** (პროფესიული გადამზადების კურსი);
- ✓ **World Vision Georgia** (მეთოდოლოგიური და ფინანსური დახმარება).

4.2 ბავშვთა დაცვის განყოფილებების შტატი და კვალიფიკაცია

კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების აღსრულება – ბავშვთა დაცვის განყოფილებების რეალური შესაძლებლობები

რესპონდენტების ნაწილის თანახმად, საკანონმდებლო სტანდარტები, შესაბამისი რესურსების (ადამიანური, ფინანსური და ა.შ.) არსებობის პირობებში, მართალია, იძლევა შემთხვევების ეფექტიანი მართვის საშუალებას, მაგრამ **პრობლემას სწორედ კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, დროული რეფერირება და კოორდინირების არასათანადო ხარისხი წარმოადგენს, რაც აფერხებს კანონის ჯეროვან აღსრულებას**. დარგის ექსპერტები მიუთითებენ ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლების **მზაობაზე სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობის,** პროფესიული განვითარების და აქტივობებში ჩართვის თვალსაზრისით, რაც ქმნის კანონით განსაზღვრული სტანდარტების აღსრულების წინაპირობას.

„კანონმდებლობამ მოგვცა სასარგებლო სტანდარტები, თუმცა ამ სასარგებლო სტანდარტებით ვერ სარგებლობენ ბავშვები. ამას აქვს ორი მიზეზი: კარგია სწორი სტანდარტის ჩადება, მაგ., როგორიცაა თვითმმართველ ერთეულებში ბავშვთა უფლებებზე აქცენტირებული მუშაობა, ინსტიტუციური მექანიზმები, მაგრამ კანონმდებელი უნდა უყურებდეს ამას, როგორც შეკრულ წრეს. კანონმდებელს მაშინ აქვს უფლება თქვას, რომ რაღაც კარგი დაწერა, თუ ის დარწმუნებულია, რომ ყველა სიკეთე მივიდა ბავშვთან, ანუ მოემსახურა იმას, ვისთვისაც ეს სტანდარტი ჩაიწერა. სწორედ ამ მეორე ნაწილში გვაქვს პრობლემა - როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეებზე. თვითმმართველობის წარმომადგენლები, როდესაც ბავშვთა ნაწილზე ვსაუბრობთ, ამბობენ, რომ შეუძლებელია ამის აღსრულება. თქვეს, რომ არ ყოფილან პროცესებში ჩართულნი“, - ანა აბაშიძე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ დამფუძნებელი.

განყოფილების კადრების შერჩევა, გადამზადება და შტატის დაკომპლექტება, <u>ძირითადად,</u> მოხდა უკვე არსებული ბაზიდან. რესპონდენტების თქმით, **კადრების შერჩევა არ მომხდარა ღია კონკურსით,** არამედ მათივე სამსახურების თანამშრომლები გადამზადდნენ, მათ შორის, ისეთი პირები, რომელთაც კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობა არ სურდა (მაგ., სოც. მუშაკის), თუმცა იძულებით მოუწია. საბოლოოდ, აღნიშნული პირი გარკვეული დროის შემდეგ წავიდა სამსახურიდან, რადგან ვერ გაუმკლავდა დაკისრებულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. ბაღდათის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მიუთითებს, რომ არსე-

ბული სოციალური მუშაკი გადაამზადეს[23], ფსიქოლოგი, რომელიც სხვა პოზიციაზე მუშაობდა - გადაიყვანეს შესაბამის პოზიციაზე, ჯანდაცვის სპეციალისტი მიიწვიეს ხელშეკრულებით, ხოლო იურისტი შეუერთდა განყოფილებას იურიდიული განყოფილებიდან. შეიქმნა კოორდინატორის შტატიც.

ცალკეულ მუნიციპალიტეტში ვაკანსია გამოცხადდა, როგორც მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე, ასევე hr.gov.ge-ზე, ხოლო კადრების შერჩევა გასაუბრების საფუძველზე მოხდა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ბავშვთა დაცვის განყოფილებების საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული შემდეგი კონკრეტული გამოწვევები:

- ✓ **ფსიქოლოგის შტატის არარსებობა/ნაკლებობა** - მაგ., აჭარაში, მუნიციპალიტეტების უმეტესობას საერთოდ არ ჰყავს ფსიქოლოგი,. ჩოხატაურის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში აღნიშნეს, რომ **პრობლემა არა მხოლოდ ფსიქოლოგის შტატის არარსებობაში, არამედ საზოგადოების მიერ აღნიშნული სპეციალისტის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობაშია - პირველი რიგის საჭიროებად მოსახლეობა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მიიჩნევს.**
- ✓ **სპეციალისტების საკმარისი რაოდენობის არარსებობა** (სოც. მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლის სპეციალისტი, ჯანდაცვის სპეციალისტი) **და ადგილზე არსებული შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე კადრების მომიჯნავე ვალდებულებებით დატვირთვა, რაც საბოლოოდ ნეგატიურად აისახება მუშაობის ხარისხზე, ეფექტიანობასა და შედეგებზე;**
- ✓ **ზოგადად - განყოფილებაში არსებული კადრების პროფესიონალიზმის ნაკლებობა.**

„მოხდა ისე, რომ ფსიქოლოგად დაინიშნა ბუღალტერი, სოც. მუშაკად 250 ისეთი ადამიანი დასაქმდა, რომელიც ახლოს არ იყო პროფესიასთან. როგორც კი სერტიფიცირების პროცესი დაიწყო, გამოვეთიშეთ, რადგან წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა, რომელსაც სოც. მუშაობა არ აურჩევია როგორც პროფესია, არც ღირებულებები და მოტივაცია აქვს შესაბამისი, ისე განავითაროს უნარები და დაიცვას ბენეფიციარის ინტერესები, როგორც საჭიროა. შემდეგ ამ ხალხს ჩაუტარეს სამთვიანი პროფესიული კურსი ონლაინ, კვირაში ორჯერ შეხვედრით...“ - ქეთევან გიგინეიშვილი, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

„მაგალითად, მივიდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვი... ის კადრები, რაც გვყავს, ვერ იმუშავებენ ამ ბენეფიციარებთან, ეს ძალიან საშიში ამბავიცაა, რომ მათ ამ კუთხით

---

23 ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ინტერვიუს ჩატარების მომენტში სოციალური მუშაკის შტატი იყო ვაკანტური და მიმდინარეობდა ღია კონკურსი. იმ ეტაპისთვის, შესული განაცხადებიდან არც ერთი იყო დამაკმაყოფილებელი, რაც კვალიფიციური კადრის დეფიციტზე მიუთითებს.

რამე მუშაობა აწარმოონ. ახდენენ გადამისამართებას, იმიტომ რომ არ აქვთ მაღალი კომპეტენცია ფსიქოლოგიაში. თუ შემთხვევა რთულია, რჩება ბავშვთა ზრუნვაში... ასრულებს მუნიციპალიტეტი სოციალური განყოფილებების ფუნქციას? ეს ყველაფერი არეულია. ადამიანი, რომელმაც გაიარა რამდენიმეთვიანი გადამზადება, ვერ იქნება კეთილსაიმედო პარტნიორი ჩემთვის და ვერ იქნება აღქმული ისეთ სპეციალისტად, რომელიც ისე იმუშავებს, რომ ვინმეს ტრამვას არ მიაყენებს," - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ინსპექტორი.

„როდესაც პოლიციაში საპროცესო წარმომადგენლობას ვახორციელებთ და გამომძიებელი საჭიროდ თვლის ფსიქოლოგის ჩართულობას, <u>ოზურგეთიდან მოგვყავს ფსიქოლოგი,</u> ან კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგიც ჩაგვირთავს, რადგან არ გვყავს განყოფილების სოციალური მუშაკი... ერთი ფსიქოლოგი მაინც რომ იყოს არასწრულწლოვანთა მიმართულებით სპეციალიზირებული, ბევრად გაგვიმარტივებდა საქმეს", - მადონა ლაგვილავა, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სოციალური მუშაკი, ჩოხატაური.

სოციალურ მუშაკს მნიშვნელოვანი ფუნქცია - სკრინინგის განხორციელება - ეკისრება, რომლის მიზანია, ბავშვის კეთილდღეობის საჭიროებათა გამოვლენა და ზიანის რისკის საწყისი დონის დადგენა, რომლის საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი რეაგირების ფორმა. ზემოაღნიშნული სწორი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, **სოციალური მუშაკის კვალიფიკაციას და მუშაობის მოტივაციის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალადობის პრევენციისთვის.**

„ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება უნდა გააკეთოს სოციალურმა მუშაკმა და ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება მუშაობდა სპეციალისტად, ან მუშაობდა პიარის სამსახურში და ამ სფეროსთან კავშირი არ ჰქონდა და სამ თვეში გადაამზადეს სოციალურ მუშაკად, შედეგს ვერ დადებს... რიგ მუნიციპალიტეტებში შეკვეცეს განყოფილებებში კადრების რაოდენობა და იძულებით მოუწიათ სპეციალისტებს სოციალურ მუშაკებად გადასვლა, სამსახურის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ", - თინათინ ჭელიშვილი, იმერეთის განვითარების ცენტრის კოორდინატორი, თემის განვითარების ფასილიტატორი.

ადგილებზე სოციალური მუშაკების დეფიციტი ხშირ შემთხვევაში განაპირობებს იმას, რომ საჭირო დროს შეუძლებელია საჭირო მოქმედებების განხორციელება. შედარებით მცირე ზომის მუნიციპალიტეტებში შესაძლოა ერთი სოციალური მუშაკის შტატი საკმარისი აღმოჩნდეს, ხოლო კრიტიკული აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით თანამშრომლობენ სოციალურ მუშაკებთან სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოდან.

მიუხედავად გამოწვევებისა, დარგის სპეციალისტების ნაწილი ხაზს უსვამდა ბავშვთა დაცვის **განყოფილებებში მომუშავე <u>კადრების მოტივაციას, აკეთონ საქმე და მათ სურვილს - აიმაღლონ კვალიფიკაცია.</u>** ბენეფიციარებიც კმაყოფილებას გამოხატავდნენ ბავშვთა დაცვის განყოფილებების სპეციალისტების მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზოგჯერ არც იციან, კონკრეტულად რომელ სპეციალისტთან აქვთ ურთიერთობა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა საინტერესო პრაქტიკა, **სადაც შტატში ორივე სქესის სოციალური მუშაკი ჰყავთ - ქალი და მამაკაცი, რაც მათ მუშაობას და ქეისებზე რეაგირებას გაცილებით ეფექტიანს ხდის,** რადგან, მაგ., ზოგჯერ მოზარდი ან რომელიმე ბენეფიციარი სპეციფიკურად საჭიროებს და ითხოვს მისივე სქესის სოც. მუშაკის ჩართულობას.

კითხვაზე, აქვთ თუ არა გაცნობიერებული საკუთარი უფლება-მოვალეობები ბავშვთა უფლებების დაცვის „სისტემის“ აქტორებს (მაგ., მუნიციპალიტებში არსებულ ბავშვთა დაცვის განყოფილებების წარმომადგენლებს), გამოიკვეთა, რომ არასაკმარისად არის გაწერილი კონკრეტული საშტატო ერთეულების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, რაც აფერხებს განყოფილების წარმომადგენლების მიერ საკუთარი როლის სათანადოდ გაცნობიერებას.

სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ხაზს უსვამს განყოფილების სპეციალისტების შეზღუდულ რესურსებს და არა საკუთრივ ფუნქციების გაცნობიერების პრობლემას: ***„განყოფილება შეიქმნა იმ მიზნით, რომ სოციალური მუშაობის ხელშეწყობით მოხდეს პრევენციული საქმიანობის ჩატარება. თუმცა რესურსი იმდენად მწირია, რომ რეალურად ბენეფიციარის მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებენ და, შესაბამისად, პრევენციაც ვერ მოხერხდება... სანამ არ მივალთ იმ დონემდე, რომ ამ განყოფილებას ექნება საკუთარი რესურსი, მანამდე მუშაობის ეფექტიანობა რთული შესაფასებელია“.***

გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ორივე პრობლემა - ფუნქციების გაუცნობიერებლობა და რესურსების სიმწირე - თანაბრად მწვავეა: ***„რთულია იმპლემენტაცია, ძალზე ბევრი სამუშაოა... მართალია, გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები არის, მაგრამ არის ზედაპირული დამოკიდებულებაც ფუნქცია-მოვალეობების მიმართ... ზოგან არ ჰყავთ სოციალური მუშაკი - ამ გუნდის ძირითადი ღერძი, სხვა სპეციალისტები კი ჰყავთ, მაგრამ ვერ ხორციელდება მიმართვიანობაზე რეაგირება, რადგან ვერ ივსება შესაბამისი ფორმები, ვერ იწარმოება საქმეები, რომელსაც სოციალური მუშაკი უნდა აკეთებდეს“*** - ეთერ ცხაკაია, ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა.

ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სპეციალისტე-

ბისთვის **უწყვეტი განათლების მიწოდების აუცილებლობას და გამოცდილების გაზიარებას** - ***„ტრენინგზე ჩვენ ჩვენი ქეისების განხილვა გვქონდა, ვინ როგორ მართა კონკრეტული ქეისი... ეს ძალიან კარგია იმისთვის, რომ შევადაროთ, რას ვაკეთებთ სწორად და რა შეიძლება სხვაგვარად გაგვეკეთებინა,“*** - ხათუნა ოჩხიკიძე, ვანის მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი.

ინტერსექტორული თანამშრომლობა. კვლევის რესპონდენტები სხვადასხვა „სექტორთან“ თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითების შესახებ მიუთითებენ, მაგ.: არასამთავრობო ორგანიზაციებთან - ქალთა ფონდი „სოხუმი“, ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა და ა.შ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან - World Vision, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სახელმწიფო უწყებებთან - მაგ.: ტრეფიკინგის სააგენტო, ქუთაისის ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრი: ***„ძალიან მნიშვნელოვანი მგონია სხვადასხვა სექტორის თანამშრომლობა, სამთავრობო, არასამთავრობო, ექსპერტული წრეების. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი უდიდესია ამ პლატფორმების შექმნის საკითხში, კოორდინაციის სისტემის ხელშეწყობისთვის... კარგი მაგალითია პროექტი, რომელიც ოზურგეთში და თელავში ხორციელდება და მოიცავს საგანმანათლებლო კომპონენტს, მუნიციპალური სოციალური მუშაობის ცნობადობის გაზრდას, ჩართულობას, სათანადო პროგრამების შემუშავებას კრიზისული ოჯახების გაძლიერებისთვის,“*** - მაია გოგიჩაიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, ყოფილი სოციალური მუშაკი ზრუნვის სააგენტოში.

ბავშვის მხარდამჭერი პირების პროფესიული გადამზადება

თვისებრივი მონაცემების მიხედვით, კვლევაში ჩართულ სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების წარმომადგენლების მნიშვნელოვან ნაწილს საკვალიფიკაციო და სერტიფიცირების ტრენინგები[24] გავლილი აქვს, რომელსაც დადებით შეფასებას აძლევენ და აცხადებენ, რომ სამუშაოს შესრულებისას ტრენინგზე მიღებული ცოდნა ძალზე დაეხმარათ. თუმცა, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები:

24 მაგ.: სოციალურ მუშაკთა ასოციაციის და მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები (მაგ., 14 საგნის სწავლება 4 თვის განმავლობაში ონლაინ), თვითმმართველობებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სერტიფიცირების პროგრამა, გენდერული ბიუჯეტირება, UNICEF-ის მიერ ჩატარებული სამთვიანი საბაზისო ტრენინგი, World Vision-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი (სამდღიანი - ფსიქოლოგების, სოც. მუშაკების და ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის), ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის მიერ ჩატარებული ტრენინგები სხვადასხვა თემაზე - მათ შორის ბავშვთა ადრეული განვითარება, ფსიქოლოგიური საკითხები და სხვ.

- ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევენ სხვა უნარ-ჩვევების განმავითარებელი ტრენინგის ჩატარებას, მაგ., **კვლევის მეთოდოლოგიაში,** იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, განყოფილების სპეციალისტმა თავად შეძლოს კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება და მაგ., ჯგუფური დისკუსიის ჩატარება - ბენეფიციარების საჭიროებების გამოვლენის და ბიუჯეტში ინიცირების მიზნით. ამას გარდა, სურვილს გამოთქვამენ, განყოფილებაში მოწვეული იქნეს კვალიფიციური **სპეციალისტი, რომელიც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში დაეხმარება;**

- კვლევაში ჩართული მონაწილეები ითხოვენ, რომ **ინტენსიური ტრენინგები ჰქონდეთ განყოფილების სხვა სპეციალისტებსაც, სოციალური მუშაკების გარდა** (რომლებსაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით უტარდებათ): **ფსიქოლოგებს, იურისტებს, ჯანდაცვის სპეციალისტებს.** განსაკუთრებით გამოკვეთილია ფსიქოლოგის და ჯანდაცვის სპეციალისტის პროფესიული გადამზადების საჭიროება;

- კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსები, ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, ეხმარება საბაზისო საკითხების და ასევე საკუთარი კომპეტენციის საზღვრების გაცნობიერებაში: თუმცა, ამავე რესპონდენტების აზრით, მოკლევადიანი კურსები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სპეციალისტი პროფესიონალად ჩამოყალიბდეს;

- საერთო ჯამში, დარგის ყველა სპეციალისტი და ექსპერტი ითხოვს **უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას** - მათ შორის აუთსორსინგის **საშუალებით - აღნიშნული სერვისის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო საზოგადოების მიერ;**

- საჭიროა ერთიანი მიდგომის, ბენეფიციარებთან/კონკრეტულ ქეისებზე **მუშაობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება;**

- მეტი ინტენსივობით განხორციელდეს მუნიციპალიტეტებს შორის **გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა**, განსაკუთრებით ბავშვთა დაცვის განყოფილებებს შორის.

რაც შეეხება ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი პირების პროფესიული განათლების კანონით გათვალისწინებული განვითარების სტანდარტს[25], კვლევაში მონაწილე სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ სტანდარტი არ არსებობს, თუმცა აქვე მიუთითეს, რომ საჭიროა ზოგიერთ განყოფილებაში კადრების ფუნქციების უფრო ზედმიწევნით გაწერა.

25 ბავშვის უფლებათა კოდექსი: მუხლი 88, პ. 1; იქვე - მუხლი 99

ბავშვთა დაცვის განყოფილების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირების წყარო

ბენეფიციარებმა ბავშვთა დაცვის განყოფილების და მისი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, მიიღეს თავად **ბავშვთა დაცვის განყოფილების სპეციალისტებისგან (მეტწილად - სოციალური მუშაკებისგან)** თუმცა ინტერვიურების პროცესში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ბენეფიციარს უჭირს განყოფილების და მის შემადგენლობაში შემავალი სპეციალისტების იდენტიფიცირება, ასევე არ ფლობს ინფორმაციას განყოფილების პროგრამებისა და სერვისების შესახებ - **რაც ინფორმირების გაზრდის აუცილებლობაზე მიუთითებს.** ნაწილმა ინფორმაცია **სოფლის გამგებლისგან/რწმუნებულისგან და/ან სკოლის წარმომადგენლისგან** მიიღო.

ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლების კომუნიკაცია ოჯახთან, კვლევაში მონაწილე ბენეფიციარების თქმით, არის საკმაოდ **პროდუქტიული.** ბენეფიციარები ხაზს უსვამენ განყოფილების სპეციალისტების ყურადღებას მათი პრობლემების გადაჭრის მიმართ.

სპეციალური სივრცე ბენეფიციარებისთვის

- **არის:** ტყიბული, სენაკი, ზუგდიდი (სპეციალური სივრცე არა, მაგრამ არის ცალკე ოთახი, რომელსაც ბენეფიციარისთვის იყენებენ საჭიროებისამებრ);
- **არ არის:** თერჯოლა (ოთახში, სადაც ბენეფიციარს იღებენ, ამავდროულად 3 თანამშრომლის სამუშაო სივრცეა), წალენჯიხა;
- **არ დასჭირვებია მისვლა/არ აქვს ინფორმაცია:** ბაღდათი, ვანი, ჩოხატაური, ქობულეთი.

ბენეფიციარების კომუნიკაცია განყოფილების წარმომადგენლებთან

- სოციალური მუშაკი (აღნიშნავს უმრავლესობა);
- ფსიქოლოგი;
- კოორდინატორი;
- ბავშვთა დაცვის განყოფილების ყველა მოქმედი სპეციალისტი;
- განყოფილების უფროსი.

ბენეფიციარები, ძირითადად, კმაყოფილები არიან ბავშვთა დაცვის განყოფილების სპეციალისტებთან კომუნიკაციით, მეტიც - ისინი მიუთითებენ, რომ მომავალში, თუ დასჭირდებათ, სხვა პირებსაც შეატყობინებენ აღნიშნული განყოფილების საქმიანობის შესახებ. ქვემოთ წარმოდგენელია ბენეფიციარების შეფასებების არასრული ჩამონათვალი: (იხ. ცხრილი №2)

ცხრილი №2

„ჩემთვის მნიშვნელოვანი შეფასება გააკეთა, რომ მე რეალურად მჭირდებოდა დახმარება. ჩემი გოგონებისთვის მეტი მათ არაფერი შეუძლიათ“ (შშმ ბავშვების დედა, ბენეფიციარი, ვანი).
„გულთან მიიტანეს ჩემი საკითხი, დღე არ გავა, არ დამირეკონ“ (ძალადობის მსხვერპლი, ბენეფიციარი, ვანი).
„ვიცი, რომ არ ვარ მარტო და არ დავბრუნდები მოძალადესთან... /ძალადობის/ ბოლო შემთხვევის დროსაც ჩემმა უფროსმა შვილმა დაურეკა ბავშვთა განყოფილების წარმომადგენლებს“ (ძალადობის მსხვერპლი, თერჯოლა, ბენეფიციარი).
„რომ არა ამ განყოფილების თანამშრომლები, მე და ჩემი შვილის ერთად ყოფნა შეუძლებელი გახდებოდა. ისინი მაქსიმალურს ცდილობენ ჩემთვის და ჩემი შვილისთვის“ (ძალადობის მსხვერპლი, ბენეფიციარი, სენაკი).
„ჩემთვის ამ ეტაპზე ნებისმიერ დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მე რომ მხარდაჭერა არ მეგრძნო, არ მგონია, გამერისკა და გადამედგა ეს ნაბიჯი - წამოვსულიყავი ოჯახიდან. მანამდე ბევრჯერ წამოვსულვარ და მივსულვარ ჩემი მშობლების ოჯახში, მაგრამ უკან დავბრუნებულვარ“ (ძალადობის მსხვერპლი, ბენეფიციარი, ვანი).
„ბავშვის სიცოცხლე, რომელიც დედას ექიმთან არ მიჰყავდა, განყოფილების მუშაობამ და ჩარევამ გადაარჩინა. სოციალურად დაუცველებს რომ ასაქმებენ, საერთოდ არ იცოდა ჩემმა ბენეფიციარმა და რომ დავასაქმეთ, მეც ბედნიერი ვარ“ (მზექალა კურტანიძე, ტყიბულის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკი).
„სოციალური მუშაკი ჩემს შემთხვევაში იყო ჩემი გადამრჩენელი. ჩემს ახლობელს ან ვინმეს, ვისაც დავინახავ, რომ აქვს საჭიროება ამ კუთხით, აუცილებლად გადავამისამართებ ამ განყოფილებაში“ (ძალადობის მსხვერპლი, ბენეფიციარი, სენაკი).
„არცერთი ჩემი კითხვა დაუტოვებიათ უპასუხოდ და რისი შესაძლებლობაც არის, მეხმარებიან“ (შშმ ბავშვის დედა, ბენეფიციარი, ტყიბული).
„სოციალური მუშაკი ყოველ მეორე დღეს მაინც მეხმიანება. როცა არის დახმარების საშუალება ტანსაცმელით, ფეხსაცმელით და სხვა ნივთებით - მიბარებენ. მუშაობს ჩემთან ფსიქოლოგიურადაც, იმ დონეზე მეხმარება, რომ ის არის ჩემი მაშველი რგოლი ყველაფერში“ (3 შვილის დედა, სოციალურად დაუცველი, ბენეფიციარი, ზუგდიდი).

რა ტიპის დახმარებას საჭიროებენ ბენეფიციარები? რა პროგრამების აუცილებლობა არსებობს მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ოჯახებისთვის?

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის **ძირითადი** საჭიროებები:

- საოჯახო ნივთები და ტექნიკა: (მაგ.: კარადა, საწოლები, მაცივარი, სარეცხი მანქანა...)
- სასკოლო ნივთები და კომპიუტერული ტექნიკა
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- ჰიგიენის ნივთები - განსაკუთრებით პამპერსი შშმ ბავშვებისათვის
- საკვები
- ბინის ქირის თანხა

„სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ გვიწევს საუბარი ძალადობის პრევენციაზე და მსხვერპლი ბავშვების დაცვაზე. ჩვენს გვერდით ჯერ კიდევ არსებობენ ოჯახები, სადაც ელემენტარული პირობები არ აქვთ ბავშვებს - ტანსაცმელი, საჭმელი და სხვა საჭიროებები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია,“ - ია ეხვაია, ზუგდიდის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების კოორდინატორი.

აუცილებელ პროგრამებს შორის, **ძირითადად,** გამოიკვეთა:

- სპორტული და ხელოვნების მრავალპროფილური წრეები;
- მცირეწლოვანი ბავშვების სამედიცინო პროგრამა;
- შშმ ბავშვების ინტეგრაციის ხელშესაწყობი პროგრამები;
- შშმ ბავშვების მშობლების და ოჯახის წევრებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები;
- საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამები (მაგ.: სახურავის შეკეთება და ა.შ.).

4.3 ბავშვთა დაცვის განყოფილებების საქმიანობის სფერო – შესაძლებლობები და გამოწვევები

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შეფასება. პრობლემები/გამოწვევები. პერსპექტივა კრიზისული ოჯახების გამოვლენის, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების მიმართულებით საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით

დარგის ექსპერტებმა, სპეციალისტებმა და ბენეფიციარებმა დაასახელეს სხვადასხვა ტიპის **გამოწვევები:**

- ✓ სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი აღნიშნავს, **რომ არ მომხდარა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამების გამრავალფეროვნება საჭიროებების შესაბამისად.** მოცემულ მომენტში შესაძლებელია მხოლოდ იმ პროგრამებით სარგებლობა, რასაც **სოციალური ბიუჯეტი ისედაც მოიცავდა;**
- ✓ **ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული მუნიციპალიტეტში.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში - არ იყო ოჯახი რეგისტრირებული, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით პირველადი მოხმარების ნივთები მიეწოდა ერთჯერადად;
- ✓ **ტრანსპორტირების პრობლემა - უნდა განვიხილოთ ორი მიმართულებით:**
  - **ბავშვთა დაცვის განყოფილების თანამშრომელთა ტრანსპორტირების საკითხი,** მაგ.: რთულად მისადგომ და ცენტრიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში (განყოფილებაში საწვავის ნაკლებობის ან ტრანსპორტის უქონლობის გამო): ***„ბენზინის ტალონები არ არის ისეთი რაოდენობით, რომ ჩვენც ვიყოთ უზრუნველყოფილი, მქონდა სამი ქეისი. დამაგვიანდა რეაგირება, არადა სამ დღეში მე პროტოკოლით უნდა ჩავატარო გასვლა ოჯახში,“*** - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება, სოციალური მუშაკი;
  - **ბენეფიციარების წინაშე მდგარი ტრანსპორტირების პრობლემები, რომლებიც მათ უზღუდავს/ართმევს ბავშვისთვის (მით უფრო, შშმ ბავშვისთვის) საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას.** ***„შვილი მყავს ჩართული რეაბილიტაციის პროგრამაში და კვირაში რამდენჯერმე მიწევს ქალაქში წასვლა. ფინანსებთან დაკავშირებულ ძალიან დიდ დანახარჯს მოითხოვს, თუმცა სოციალური მუშაკი დამპირდა, ეგებ რამე რესურსი მოიძიოს და ჩემი ტრანსპორტირების თანხის თანადაფინანსება მოხერხდეს,“*** - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბენეფიციარი, შშმ ბავშვის დედა, სოციალურად დაუცველი[26];

---

26 აქვე უნდა აღინიშნოს: ბენეფიციარების ნაწილი მიუთითებს, რომ განყოფილების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს მათი შვილების ტრანსპორტირების დაფინანსება, ნაწილმა კი მიიღო დაპირება, რომ მერიასთან კოორდინაციით მოგვარდებოდა აღნიშნული პრობლემა

- ✓ **ინსპექტორის ფუნქცია** სათანადოდ არ არის გაწერილი, შესაბამისად, ბუნდოვანია მისი ვალდებულებები;

- ✓ **ფსიქოლოგს არ აქვს სამუშაო ინსტრუმენტი/მისი როლი მინიმალურია, შემოიფარგლება მხოლოდ პრობლემის იდენტიფიკაციით**; სამუშაო ინსტრუმენტის შესყიდვის საშუალება, მოცემულ ეტაპზე, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. ამიტომ, მაგ., **ბაღდათის მუნიციპალიტეტის** ფსიქოლოგმა სხვა მუნიციპალიტეტში კვალიფიციური სპეციალისტის მიერ შემუშავებული შეფასების ფორმა/გაიდლაინი გადაიტანა და დანერგა და მიმდინარე ეტაპზე იყენებს სახელმძღვანელოდ. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის** ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების ფსიქოლოგი საუბრობს საქმის მართვისას მათი როლის გაზრდის და ქმედითი ჩართვის აუცილებლობაზე. მან მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, როდესაც მისმა, როგორც ფსიქოლოგის ჩარევამ (რომელიც მისი კეთილი ნება იყო და არა გაწერილი ვალდებულება) და სიღრმისეულმა მიდგომამ პრობლემისადმი დადებითი შედეგი გამოიღო და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფმა მოზარდმა ჩვეულებრივი ცხოვრება გააგრძელა[27];

- ✓ **მუნიციპალიტეტების თანამშრომლების დაბალი ანაზღაურება**, რაც ხშირად ხდება სერტიფიცირებული **კადრების გადინების მიზეზი; *„მინდა აღვნიშნო ერთი პრობლემა, რაც ჩვენს ეფექტურ მუშაობას უშლის ხელს - გვაქვს ძალიან დაბალი ანაზღაურება 600 ლარი - ასეთი მასშტაბით მუშაობისათვის არის შეუსაბამო. მე პირადად ვაპირებ, რომ როგორც კი გამოჩნდება სამსახური, მაგალითად, სოციალური მომსახურების ადგილობრივ სააგენტოში, იქ მივიღებ მონაწილეობას,“*** - მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;

- ✓ **არასაკმარისი კადრები[28]/სპეციალისტები - კვალიფიკაციის ნაკლებობა**. განსაკუთრებით ხაზგასმულია ფსიქოლოგის დაბალი ხელმისაწვდომობა (არ ჰყავთ მუნიციპალიტეტების უმეტესობაში). ***„როდესაც ვაკანსიას აცხადებდა სახელმწიფო, ვერ აგვყავდა კადრი, რადგან უმეტესობა წამოსული იყო დიდ ქალაქებში... ეს ისეთი პროფესიებია - ფსიქოლოგი, იურისტი, სოც. მუშაკი, რომ ამ პროფესიის ადამიანებს, ვინც მუშაობს, უწყვეტი განათლება უნდა ჰქონდეთ,“*** - მარი წერეთელი, ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა;

---

27 „ძალადობის ფაქტი იყო, სექსუალური ძალადობის გარდა ყველა ძალადობის ფორმა. დავდე დასკვნა და გადამისამართდა ტრეფიკინგის სამსახურში. მაგრამ ბავშვი, ეტყობა, ვერ შევიდა მათთან კომუნიკაციაში და სისტემატურად მე მეკონტაქტებოდა.... როგორ არ გავსაუბრებოდი? ისიც კი მე მომწერა გვიან ღამით, რომ მამა დანით დაგვსდევსო. ამ დროს ტრეფიკინგის სამსახური ჩარეული იყო ქეისის მართვაში.... პოლიციაშიც დავრეკე და რეაგირება ვიქონიეთ ფაქტზე. ეს გოგონა სკოლაშიც არ დადიოდა, რცხვენოდა ოჯახის მდგომარეობის. პირადი საუბრების დონეზე შევძელი ის, რომ მან სკოლაში სიარული გააგრძელა...“

28 წალენჯიხის მუნიციპალიტეტს არ აქვს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის პროგრამები და, შესაბამისად, არც ბიუჯეტი, არ ჰყავს ფსიქოლოგი და ჯანდაცვის სპეციალისტი, რაც აფერხებს მუშაობას.

„ფსიქოლოგების რესურსი მწირია... არც კვალიფიკაცია აქვთ სათანადო... კარგი კადრი არ არის, თერაპიას ვერ ატარებენ. კანონი ამბობს, რომ ყველგან, არა მარტო მუნიციპალიტეტებში, უნდა იყოს გადამზადებული სოციალური მუშაკის კადრი... ჩვენი უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ასეთ კადრს... რეგიონიდან რომ ჩამოდიან და აქ ამთავრებენ ბაკალავრს, უკან აღარ ბრუნდებიან... ამ სიტუაციაში გამართლებულია, რომ გადაამზადო კადრები, რომლებიც შეავსებენ არსებულ დეფიციტს...“ - ეთერ ცხაკაია, ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა;

- ✓ განყოფილებებში **შესაბამისი სპეციალისტების არარსებობა:** *„როდესაც ვუწერ დასკვნაში, რომ საჭიროებს ფსიქოლოგის კონსულტაციებს... საიდან ვიცი ეს მე ასე დასაბუთებით, მე ხომ არ ვარ ფსიქოლოგი, ეს ვიცი - წინა ზაფხულს, როდესაც გავიარე ტრენინგები, იმ 14 საგანში ერთ-ერთი ბავშვთა ფსიქოლოგიას შეეხებოდა. სინამდვილეში, როდესაც მე ვაკეთებ სკრინინგს, ამას უნდა უღრმავდებოდეს ჯანდაცვის სპეციალისტი, ფსიქოლოგი, იურისტი, მაგრამ არ გვყავს,“* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ინსპექტორი;

- ✓ **ზოგადად, ცნობიერების დაბალი დონე - აღნიშული გამოწვევა ნეგატიურ გავლენას ახდენს პოტენციური ბენეფიციარების იდენტიფიცირებასა და პრევენციული ღონისძიებების წარმოებაზე, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ცალკეული პოზიტიური ფაქტები (მაგ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) მოცემულ ეტაპზე არასაკმარისია:** *„მუნიციპალიტეტს დიდი რესურსი აქვს თემთან მუშაობის... მნიშვნელოვანია სკოლებთან და ბაღებთან მუშაობა. სამწუხაროდ, ძალადობა აღიქმება როგორც მხოლოდ ფიზიკური, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგი შეიძლება მეტად რთული იყოს ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის. შესაბამისად, ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი,“* - თამარ მესხია, „SOS ბავშვთა სოფელის“ სოციალური მუშაკი;

- ✓ **საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა განყოფილებების შესახებ** - მაგ., შშმ ბავშვების მშობელს, რომელმაც არ იცოდა განყოფილების არსებობის შესახებ, მშობლებმა მიაწოდეს ინფორმაცია. ჯანდაცვის სამინისტრომ მუნიციპალიტეტს დააკისრა ბენეფიციარზე რეაგირების და სერვისის მიწოდების ვალდებულება.

- ✓ **ზოგჯერ განყოფილების ცალკეული წარმომადგენლის პროფესიონალიზმზე და გულისხმიერებაზეა დამოკიდებული, რამდენად მოხდება მოსახლეობის ინფორმირება და კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირება;**

- ✓ **კონფიდენციალობის დაცვის საკითხი** - დოკუმენტაციაში ფიქსირდება ბენეფიციარის პირადი მონაცემები, რაც შესაძლოა გახდეს საჯარო. ზემოაღნიშნული ხდება კრიზისული ოჯახების და პოტენციური **ბენეფიციარების მხრიდან განყო-**

ფილებაში მიმართვიანობის და, შესაბამისად, მათი იდენტიფიცირების შემაფერხებელი ფაქტორი: *„ყველა მონაცემი უნდა იყოს დაფარული, მაგრამ როდესაც ჩვენ ადმინისტრაციულ საქმის წარმოებას ვაკეთებთ და ვტვირთავთ ყველა დოკუმენტს - სახელი, გვარი, საცხოვრებელი... ყველაფერი არის გაწერილი. მართალია, საჯარო საქმის წარმოების სისტემა არის დახურული, მაგრამ მასთან შემხებლობა მაინც ძალიან ბევრ ადამიანს აქვს. ამ საკითხზე კი შეჯერება ვერა და ვერ მოხდა - რა ფორმით გავაკეთოთ ეს, რომ ჩვენი მულტიფუნქციური ჯგუფის გარეთ არ გავიდეს ინფორმაცია“,* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი;

- ✓ **კრიზისული ოჯახების საჭიროებებზე რეაგირებისთვის არასაკმარისი სოციალური პროგრამები და ბიუჯეტი მუნიციპალიტეტებში** - *„უამრავი საჭიროებაა კრიზისულ ოჯახებთან მიმართებაში და რეალურად ნახევარს ვერ ვუკმაყოფილებთ, იმის გამო, რომ არ არის ბიუჯეტი,“* - განყოფილების წარმომადგენელი; *„დღეის მდგომარეობით, რასაც ვხედავთ, ამ განყოფილებას არ გააჩნია არანაირი რესურსი და არც აქვს პროგრამები, ამიტომ თავისთავად ვერ ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს ადგილზე. შემთხვევათა 99% ამისამართებს ისევ იმ უწყებებში, რომლებიც ისედაც მუშაობენ ამ ქეისებზე,“* - თეონა აბაშიძე, საქველმოქმედო ორგანიზაცია „იალქანის“ ხელმძღვანელი; *„ბევრად უკეთ და სწრაფად ხდება კრიზისული ოჯახების გამოვლენა და მათი საჭიროებების საპასუხო ღონისძიებების დასახვა. თუმცა, მოვიკოჭლებთ რესურსების კუთხით,“* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკი. *„უნდა ჰქონდეს განყოფილებას თავისი ბიუჯეტი, რათა მან შექმნას პროგრამები ოჯახების დახმარებისათვის, იდენტიფიკაცია ერთი საქმეა, მაგრამ ის, რომ ვერ ეხმარები და ვერ ცვლი მის მდგომარეობას - ეს მეორე. „ტრეფიკინგს“ ხომ აქვს პროგრამები, ჩვენ რატომ არ უნდა გვქონდეს?!“* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკი; *„მაქვს არსებული ქეისების მიხედვით გაწერილი უამრავი საჭიროება, რომელიც მიდევს და რეალურად მასზე რეაგირებას ვერ ვახდენ. როდესაც შევდივარ ოჯახში და ვხედავ საჭიროებას, ვაფიქსირებ წერილობით, მაგრამ მე ბენეფიციარს ვერაფერს ვპირდები, გარდა იმ სერვისების მიწოდებისა, რაც არის ამ წლის ბიუჯეტში,“* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკი; *„შეუძლებელია იმუშაო ასე... მითუმეტეს, რომ სატრანსპორტო ხარჯებიც ფაქტობრივად ჩვენს პირად ბიუჯეტზე გადის,“* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა განყოფილების სოციალური მუშაკი;
- ✓ **განყოფილების უფლებამოსილებების და ანგარიშვალდებულების არასათანადოდ გამიჯვნა (?)** *„განყოფილებებმა უნდა დაინახონ, როგორ არის გამიჯნული უფლება-მოვალეობები, ასევე დაინახონ ის, ვისთან არიან ანგარიშვალდებული. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გაუგებრობაა - არ ვიცით, ვინ რას აკეთებს, ვინ რაზე მუშაობს. მე, მაგალითად, ტრეფიკინგიდანაც მომდის რომელიმე კონკრეტულ*

ქეისზე რეფერალი და ბავშვთა განყოფილებიდანაც... რეალობა არის ის, რომ ამ განყოფილების შექმნით საქმე არავის არ შეუმსუბუქდა," - თინათინ ჭელიშვილი, იმერეთის განვითარების ცენტრის კოორდინატორი, თემის განვითარების ფასილიტატორი;

- ✓ **პრევენციული ღონისძიებების განხორციელების არასაკმარისი შესაძლებლობა** - *„პრევენციაზე ალბათ უფრო მეტად უნდა ვიმუშაოთ... ბენეფიციარი მოდის მაშინ, როდესაც ძალადობა დამდგარია და პოლიციამაც იცის... ერთჯერადი დახმარების გარდა ვერ ეხმარება მუნიციპალიტეტი და რჩება იგივე რეალობაში ძალადობის მსხვერპლი,"* - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ხელმძღვანელი; *„ჩვენ რომ გამოვლენაზე დავიწყოთ მუშაობა, ბევრად დიდი იქნება სტატისტიკა ჩვენი ბენეფიციარების და ბევრად მეტი საჭიროება დაგროვდება, რომელსაც ფიზიკურად ვერ გავწვდებით ასე ცარიელი ხელებით,"* - განყოფილების წარმომადგენელი. **„პრევენციული ფუნქციის" გასაძლიერებლად** გარკვეული ღონისძიებების გატარებაა საჭირო, მაგ., **ცნობიერების ამაღლების კუთხით, ბაღებთან და სკოლებთან მეტი მუშაობა.** აღნიშნული მოითხოვს ფინანსური და ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მუნიციპალური პროგრამების გამრავალფეროვნებას;

- ✓ **შესაბამის უწყებებთან და რეფერირების სუბიექტებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა** - *„ცალკე აღებული, ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების მუშაობის ეფექტურობაზე ვერ ვისაუბრებთ. სოციალურმა სისტემამ უნდა იმუშაოს - მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი რგოლი არის მერის მოადგილეები, რომლებსაც თავიანთი აპარატი აქვთ 2-3 თანამშრომლით... მუნიციპალიტეტი, რომლის მუშაობით აღფრთოვანებული ვიყავი, არის ზუგდიდი - პროგრამების მხრივ და მოსახლეობის საჭიროებების ცოდნის და მასზე რეაგირების მხრივ... სისტემა უნდა შეიკრას და ყველამ ერთად უნდა იმუშაოს, რადგან ცალკე ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება ვერაფერს გააკეთებს",* - ნინო დავითაშვილი, UNICEF, სოციალური პოლიტიკის ოფიცერი;

- ✓ **სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ გამოწვევებში (ძირითადად, ADHD[29] და აუტისტური სპექტრის მქონე) გამოიკვეთა ორი ფაქტორი, რასაც იდენტიფიცირების, რეფერირების და სერვისების მიღების შეზღუდვასთან ან საერთოდ მიუღებლობასთან მივყავართ.** ერთი მხრივ, მშობლების მიერ არსებული პრობლემის გაუცნობიერებლობა, არაღიარება და, შესაბამისად, სერვისის მოთხოვნის სურვილის არქონა. მეორე მხრივ, სასწავლო დაწესებულების პედაგოგების ცნობიერების ნაკლებობა და არაკვალიფიციური მიდგომა, რაც **განყოფილებასთან სუსტი კომუნიკაციით** გამოიხატება;

29 ADHD (Attention Deficit Hyperactivity Disorder) - ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი

✓ კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ ხშირად ბენეფიციარებზე გაცემული **ერთჯერადი ფულადი დახმარება არამიზნობრივად იხარჯება, განყოფილებების მხრიდან სუსტი მონიტორინგის გამო.** ამიტომ საჭიროა, რომ მოხდეს: ან მუნიციპალიტეტის მიერ ბენეფიციარისთვის საჭირო ნივთის შეძენა, ან გამოყოფილი ფულადი სახსრების მიზნობრიობის შემოწმება.

ცხრილი №3

მუნიციპალიტეტები	გამოწვევები	გამოწვევების დაძლევის გზები
ჩოხატაური	ცნობიერების დაბალი დონე როგორც ზოგადად ოჯახური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე განყოფილებების და მისი პროგრამების შესახებ	საინფორმაციო შეხვედრები ცნობიერების ამაღლების მიზნით, არა მარტო თემის წევრებთან, არამედ დაინტერესებულ მხარეებთანაც
	საჭიროებათა კვლევის ჩატარება თემის პრობლემების იდენტიფიცირებისთვის	დახმარება მეთოდოლოგიის შემუშავებაში
	ინსპექტორის ბუნდოვანი ფუნქცია	უფლებამოსილებების და ფუნქციების დეტალურად გაწერა
	არსებული სოციალური პროგრამების მდგრადობის შენარჩუნებისთვის ყოველწლიური ახალი ფინანსური გამოწვევა	დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება
	ბავშვთა დაცვის განყოფილების წევრების ტრანსპორტირების პრობლემა მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციისთვის - საჭიროების იდენტიფიცირების მიუხედავად, ყველგან ვერ ხერხდება პირისპირ კომუნიკაცია, რადგან სოფლები რაიონული ცენტრიდან დაშორებულია	სატრანსპორტო საშუალებით განყოფილების უზრუნველყოფა

ტყიბული	ბავშვთა დაცვის განყოფილების წევრების ტრანსპორტირების საკითხი მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციისთვის - მთაგორიან ადგილმდებარეობებზე	ტრანპორტის გამოყოფა განყოფილებისთვის (საწვავით უზრუნველყოფილი არიან)
	ინსპექტორის ბუნდოვანი ფუნქცია	უფლებამოსილებების და ფუნქციების დეტალურად გაწერა:
	რესურსების ნაკლებობა - რაც აისახება პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობაზე. ასევე თანამშრომლობაზე - ბავშვზე და ოჯახზე მორგებული სერვისების კუთხით	ინტერსექტორული თანამშრომლობა - სამთავრობო, არასამთავრობო, ექსპერტული წრეები. ინფორმაციის გაცვლისთვის სათანადო პლატფორმების შექმნა
ქობულეთი	ცნობიერების დაბალი დონე	ტრენინგების ჩატარება, მათ შორის მშობლებისთვის
	ბავშვთა დაცვის განყოფილების წევრების ტრანსპორტირების საკითხი მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციისთვის - ზოგჯერ კრიზისულ ოჯახში საჭიროებენ გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ამისთვის კი ინტენსიური ვიზიტებია საჭირო	ტრანსპორტის გამოყოფა განყოფილებისთვის (საწვავით უზრუნველყოფილი არიან)
ბაღდათი	ბენეფიციარების კონფიდენციალურობის დაცვის ხარვეზი	კონფიდენციალურობის სტანდარტების მკაცრად დაცვა
	ფსიქოლოგის დაბალი ხელმისაწვდომობა, მხოლოდ „შემფასებლის“ ფუნქცია	ფსიქოლოგის ხელმისაწვდომობის გაზრდა - ფსიქოკონსულტირება ბენეფიციარებისთვის

ვანი	განყოფილების პერსონალის კვალიფიკაციის პრობლემა (არ ჰყავთ ფსიქოლოგი და ჯანდაცვის სპციალისტი)	ტრენინგები, კომუნიკაცია დარგის ექსპერტებთან, სპეციალისტებთან. სპეციალისტების მოძიება
	გაიდლაინების/ინსტრუმენტების ნაკლებობა/არარსებობა განყოფილების სპეციალისტებისთვის	თანხის გამოყოფა, მაგ., ფსიქოლოგის სამუშაო ინსტრუმენტისთვის; სპეციალისტის დაქირავება გაიდლაინების შემუშავებაში დახმარებისთვის
	სპეციალური სივრცის არარსებობა განყოფილებაში ბენეფიციარებთან გასაუბრებისთვის	სივრცის/ოთახის გამოყოფა მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ბენეფიციარი ინდივიდუალურად გაესაუბრება განყოფილების წარმომადგენელს
	ბავშვთა დაცვის განყოფილების წევრების ტრანსპორტირების საკითხი მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციისთვის:	ტრანსპორტის გამოყოფა განყოფილებისთვის

თერჯოლა	ბავშვთა დაცვის განყოფილების ბიუჯეტის ნაკლებობა/მოუქნელობა:	ფინანსური რესურსის ზრდა კრიზისული ოჯახების გაძლიერებისთვის. „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოქმედება - ვინც ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას, მასვე სრულად შეეძლოს სერვისების მიწოდება. სასურველია, თუ დაინერგება „პოზიტიური მშობლობის კურსი“
	სპეციალური სივრცის არარსებობა განყოფილებაში ბენეფიციარებთან გასაუბრებისთვის	სივრცის/ოთახის გამოყოფა მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც ბენეფიციარი ინდივიდუალურად გაესაუბრება განყოფილების წარმომადგენელს - ფსიქოლოგს, სოც. მუშაკს და ა.შ.
	„დუბლირებული“ სერვისები: ***„როდესაც ეხმარება ზრუნვის სააგენტო მედიკამენტებით, მე ამაზე უნდა მქონდეს ინფორმაცია, რომ მე ამ კუთხით სხვა ოჯახს დავეხმარო. ესეც უნდა იყოს კარგად დალაგებული. სულ ერთი და იგივე ბენეფიციარი არ იყოს ყველას დახმარების ქვეშ და ვიღაც საერთოდ დახმარების გარეშე დარჩეს“,*** - ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება	ერთიანი (იდენტური) პროგრამა ყველა მუნიციპალიტეტის ბავშვთა დაცვის განყოფილებებისთვის, სადაც სერვისები იქნება გამიჯნული სხვა უწყებებში არსებული მსგავსი სერვისებისგან

სენაკი	განყოფილების ბიუჯეტის ნაკლებობა	მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რაც მეტ პროგრამას აამოქმედებს ბენეფიციარების საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის
	ფსიქოლოგის მინიმალური როლი განყოფილებაში - მხოლოდ ბენეფიციარის იდენტიფიცირების ეტაპზეა ჩართული. არ ჰყავთ სოციალური მუშაკი	სოციალური მუშაკის კადრის მოძიება; ფსიქოლოგის ფუნქციების გაზრდა და მეტი ჩართულობა ქეისების მართვაში
	განყოფილების წარმომადგენლების გადამზადების საჭიროება	უწყვეტი განათლება - ტრენინგები
წალენჯიხა	არასრულად დაკომპლექტებული განყოფილება; არასწორად გადანაწილებული უფლება - მოვალეობები	განყოფილების დაკომპლექტება კანონით გათვალისწინებული ყველა სპეციალისტით; დეტალურად გაწერილი უფლება-მოვალეობები
	სპეციალისტების გადამზადების არარეგულარულობა	უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა - ტრენინგები
	პროგრამების სიმცირე	პროგრამების რაოდენობის გაზრდა, რაც დამატებით ფინანსურ რესურსს მოითხოვს
ზუგდიდი	კადრების ნაკლებობა	საჭიროა სოციალური მუშაკის შტატის დამატება (არსებულის მიუხედავად)
	ხარვეზი განყოფილების წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებში	განყოფილების ყველა სპეციალისტისთვის დეტალურად გაწერილი უფლება-მოვალეობები

ერთიანი მიდგომის დანერგვის პერსპექტივა – ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერის და მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების ერთიან სივრცეში მოქცევის აუცილებლობა

დარგის ექსპერტები/სპეციალისტები აღნიშნავენ **ჰოლისტური მიდგომის საჭიროებას**, კრიზისული ოჯახების გაძლიერების, ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

„მთლიანობაში, სოციალურმა სისტემამ უნდა იმუშაოს - მერის წარმომადგენლებმაც უნდა შეძლონ ინფორმაციის მოტანა... სისტემა უნდა შეიკრას და ყველამ ერთად უნდა იმუშაოს, რადგან ცალკე ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება ვერაფერს გააკეთებს - მას სჭირდება პროგრამები, სერვისები, რომ ამ პროგრამებში და სერვისებში ჩართოს, ერთი მხრივ, იქვე, ლოკალურად და, მეორე მხრივ, სახელმწიფო სერვისებში გადაამისამართოს და დაეხმაროს,“ - ნინო დავითაშვილი, UNICEF-ის სოციალური პოლიტიკის ოფიცერი.

„პრევენციას ყოველთვის მოაქვს შედეგი. ვფიქრობ, რომ პრევენციული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ყველა ჯგუფთან, მათ შორის მსხვერპლებთან და მოძალადეებთანაც,“ - ნანა ნაჭყებია, ზუგდიდის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი.

აღნიშნულის მისაღწევად კი, ექსპერტების/სპეციალისტების აზრით, აუცილებელია მაგ.: **ბავშვთა დაცვის განყოფილებების სპეციალისტების კვალიფიკაციის გაზრდა, ასევე რეფერალური სისტემის აქტორების განყოფილების შესახებ ინფორმირების გაზრდა და თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება.** მნიშვნელოვანია **განყოფილების, როგორც ძალადობის პრევენციის ეფექტიანი საშუალების და პრევენციული მოქმედებების განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.**

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციარებზე გათვლილი მუნიციპალური პროგრამები

ბავშვთა დაცვის განყოფილების პროგრამით მოსარგებლენი - სოციალურად დაუცველები - რომლებიც ბავშვთა დაცვის განყოფილებების შექმნამდე იყვნენ სოციალური პროგრამების ბენეფიციარები. მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბენეფიციარების გარკვეული ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას განყოფილების პროგრამების შესახებ. მეტიც, უჭირთ განასხვაონ განყოფილების და სხვა (მაგ., სოციალური) პროგრამები (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4

მუნიცი-პალიტეტი	პროგრამები
ჩოხატაური	2022 წლიდან 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის 800 ლარი ერთჯერადი დახმარება.
ბაღდათი	ოჯახის გაძლიერების პროგრამა, დახმარება ჯანდაცვის და ფსიქო-რეაბილიტაციის კუთხით, ერთჯერადი დახმარება
ზუგდიდი	სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური მხარ-დაჭერის პროგრამა - ძალადობის მსხვერპლებს და/ან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე მიმართული; სოციალუ-რად დაუცველი ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები - მოიცავს ყოველთვიურ უწყვეტ დახმარებას - ბავშვზე 30 ლარი; კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების დასაქმების პროგრამა - არასრულწლოვანებისათვის მერიის დაქვემდებარება-ში მყოფ ააიპ-ებში 4-თვიანი დასაქმება (თუმცა ჯერ ბენეფიციარი არ ჰყოლიათ); აქვა-თერაპიის პროგრამა გარკვეული პათოლოგიების მქონე ბავშვებისათვის მათ შორის - სოციალურად დაუცველების-თვის (10 ბავშვი სარგებლობს); ბავშვთა სადღესასწაულო მხარდაჭე-რის პროგრამა, ბავშვთა დღეს და სხვა დღესასწაულზე დღის ცენ-ტრების ბენეფიციარებისათვის გამორჩეული დღის და საჩუქრების ამანათების მომზადება.
ტყიბული	ერთჯერადი დახმარებები და შედარებით გრძელვადიანი სერვისი. რამდენიმე ბენეფიციარისთვის, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილე-ბი ჰყავთ, მოხდება საცხოვრებელი ფართის შესყიდვა. განყოფილე-ბას ცალკე ბიუჯეტი არ აქვს, მაგრამ სხვადასხვა პროგრამაში და ქვეპროგრამაში არის გადანაწილებული. შშმ ბავშვებისთვის - 300 ლარი, ლოგოპედის მომსახურება და ეპილეფსიით დაავადებულთა დახმარების პროგრამა - 300 ლარი.
ქობულეთი	პროგრამების სიმცირე შეიმჩნევა, თუმცა მუშაობენ ბაღებთან, სკო-ლებთან, ოჯახის ექიმებთან - ძალადობის ნებისმიერი ფაქტის იდენ-ტიფიცირებისათვის
ვანი	მგზავრობის დაფინანსება სამედიცინო მომსახურების მისაღებად (ბავშვის), ერთჯერადი დახმარება
სენაკი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, ბავშვთა კვების პროგრა-მები
წალენჯიხა	რეაბილიტაცია - აბილიტაციის პროგრამა (შშმ ბავშვებისთვის). ამას გარდა, მიიღეს როგორც ერთჯერადი ფულადი, ასევე სამედიცინო მომსახურების მისაღებად ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი დახმარებები.

თუმცა ზოგჯერ ბენეფიციარისთვის ამა თუ იმ მომსახურების გაწევა სოციალური მუშაკის გულისხმიერებაზეა დამოკიდებული. მონიტორინგის ფარგლებში აღწერილია შემთხვევა, როდესაც სოციალურმა მუშაკმა პირადი სახსრებით შეიძინა მოზარდისთვის ის მედიკამენტები, რომლებიც მისმა მშობელმა არ იყიდა - **რაც მიუთითებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის გაჩენის აუცილებლობაზე.**

ბენეფიციარების იდენტიფიცირების და მათი პროგრამაში ჩართვის მექანიზმები

ცხრილი №5

მუნიციპალიტეტი	ბენეფიციარების იდენტიფიცირების მექანიზმები
ჩოხატაური	ბენეფიციარების იდენტიფიცირება ხდება რამდენიმე გზით: ძირითადად, საკონტაქტო პირები არიან, დეპუტატები, წარმომადგენლები, სპეციალისტები ადმინისტრაციულ ერთეულში, სოციალური აგენტი (ჩოხატაურში). გამოიყენება კარდაკარის მეთოდი სოფლებში, სადაც არსებობდა ეჭვი ოჯახში კრიზისული სიტუაციის შესახებ. თანამშრომლობენ სკოლებთან და ბაღებთან. განყოფილების ხელმძღვანელი გეგმავს, გაკეთდეს ბენეფიციარების და მათი დახმარებისთვის საჭირო პროგრამების ბაზა.
ბაღდათი	
ზუგდიდი	
ტყიბული	ბავშვთა დაცვის განყოფილებამ შექმნისთანავე წერილობითი შეტყობინებები დააგზავნა ყველა რელევანტურ უწყებასთან. კარდაკარის მეთოდი, პირადი ვიზიტი, სატელეფონო ზარის ან სოციალური ქსელის მეშვეობით შესული შეტყობინებები. კომუნიკაცია ბაღებთან, სკოლებთან, სპორტულ და სახელოვნებო წრეებთან. თანამშრომლობა ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოსთან. შეიქმნა განყოფილების ფეისბუქგვერდი, რამაც გააადვილა სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებთან კომუნიკაცია.
ქობულეთი	კომუნიკაცია მერის წარმომადგენლებთან, მეზობლებთან, ახლობლებთან კრიზისული ოჯახების გამოვლენის მიზნით. თანამშრომლობა სკოლებთან და ბაღებთან, კარდაკარის მეთოდი, კომუნიკაცია სოციალურ სამსახურთან, რომელიც აწვდის ინფორმაციას კრიზისული ოჯახების შესახებ.

ვანი	კომუნიკაცია მერის წარმომადგენლებთან და ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოსთან. თერჯოლის მუნიციპალიტეტს „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგამ“ შესთავაზა სკოლებთან და ბაღების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება.
თერჯოლა	
სენაკი	განყოფილებისთვის როგორც ინდივიდუალურად, ასევე ოჯახის წევრის, მეზობლის, ნათესავის მიერ მიმართვა. კომუნიკაცია მერის წარმომადგენლებთან, სკოლებთან და ბაღებთან, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებთან. გამოიყენება აგრეთვე სოციალურად დაუცველების ბაზა.
წალენჯიხა	იდენტიფიცირება ხდება, ძირითადად, მიმართვიანობის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ქალთა ფონდი „სოხუმი“, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ჩართულობით, ორგანიზებას უკეთებს ბავშვთა დაცვის განყოფილებებისა და საზოგადოების (სკოლების, თემების წარმომადგენლების) შეხვედრებს. აღნიშნული შეხვედრები ემსახურება ბავშვთა დაცვის განყოფილების ცნობადობის გაზრდას, ასევე პოტენციური ბენეფიციარების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების უკეთ შესწავლის გაძლიერებას. შეხვედრები ჩატარდა ათივე სამიზნე მუნიციპალიტეტში. შეხვედრების მიმდინარეობისას გამოიკვეთა სოციალური აგენტების რესურსის, როგორც ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის წყაროს, მნიშვნელობა. სოციალურ აგენტებს აქვთ ყველაზე ამომწურავი ინფორმაცია ოჯახების სოციალურ მდგომარეობაზე.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირების და რეფერირების გზები. შესაბამისი გაიდლაინები

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი იმყოფება კრიზისულ ოჯახში (სკრინინგის მიხედვით, რისკის მე-2, მე-3 დონეები), მუნიციპალიტეტის **სოციალურ მუშაკს ევალება ასეთი ოჯახის აღმოჩენა და რეფერირება ზრუნვის სააგენტოში, სადაც მოხდება მისი სერვისით უზრუნველყოფა (ფსიქოლოგის, იურისტის მომსახურება, ალტერნატიული ზრუნვით უზრუნველყოფა და ა.შ.).**

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება ხდება სოფლის რწმუნებულების, მშობლების/ოჯახის წევრების, პედაგოგების, ექიმების და ა.შ. მიერ მიწოდე-

ბული ინფორმაციის გზით - *„სოციალური მუშაკი ატარებს საუბრებს მშობელთან, ფსიქოლოგი კი ესაუბრება ბავშვს. ასევე, ვმუშაობთ ბავშვის გარემოცვასთან, სკოლასთან, ბაღთან და მეზობლებთან და, აქედან გამომდინარე, შეიძლება პირველ და მეორე ვიზიტზე არ გამოჩნდეს, ბავშვი ძალადობის მსხვერპლია თუ არა. ფსიქოლოგი გვაძლევს დასკვნას და მიმართულებას, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ბავშვთან,“* - მზია ბიგვავა, სენაკის მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების განყოფილების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

ცალკეული მუნიციპალიტეტი აწარმოებს კრიზისული ოჯახების და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების სტატისტიკას. მაგ., ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აქვთ ძალადობის მსხვერპლთა მონაცემების ბაზა, კრიზისული ოჯახის წარმომადგენელი ბავშვები სულ 12-ია, მათგან 5 - ძალადობის მსხვერპლი.

საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენლები სატელეფონო კონსულტაციებს აწარმოებენ რეფერირების სუბიექტებთან. ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ხდება **ოჯახის საჭიროებების შესწავლა და ფსიქოლოგის/სოც. მუშაკის ჩართვა**. ძალადობის რისკის შეფასების მეოთხე დონეზე რეფერირება ხორციელდება ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოსთან - მხოლოდ **ნარატიული დასკვნის საფუძველზე - *„სოციალურ მუშაკს აქვს ყველა დონეზე გაიდლაინები, პირველი დონიდან - მეოთხე დონემდე. მეოთხე დონე არის ძალადობის ფაქტები. პირველ, მეორე და მესამე დონეებს ჩვენ თავად ვმართავთ და მეოთხე დონეზე ვრთავთ ტრეფიკინგის სამსახურს. საკმაოდ კარგი ბერკეტია ეს ჩვენთვის... ჩვენი სამსახური თანამშრომლობს და კოორდინაციაშია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ქუთაისში - ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო ცენტრთან,“* -** ლელა ფურცელაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების განყოფილების კოორდინატორი.

როგორც კვლევამ აჩვენა, იდენტიფიცირების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი **სტერეოტიპების გავლენაა. *„პატარა მუნიციპალიტეტია, ყველა ყველას იცნობს და ერიდებიან იდენტიფიკაციას... არ უნდათ ქალებს, გამოიტანონ პრობლემა ოჯახს გარეთ და, შესაბამისად, ვერც ჩაერევა მერე ვერავინ. რაც შეეხება განყოფილებასთან მომართვიანობას, ჩვენ ვერც მოგვმართავენ, იმიტომ რომ არ გვაქვს ბიუჯეტი. შესაბამისად, როდესაც ცალკე დახმარების გაწევა არ შეგიძლია, არც არავინ მოგმართავს,“* -** სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი.

გამოწვევას წარმოადგენს ასევე, სკრინინგის განმახორციელებელი პირების **სპეციფიკური უნარ-ჩვევების ნაკლებობა, რომლის შედეგად სკრინინგი ხორციელდება ზედაპირულად. ეს კი გავლენას ახდენს ხარისხისა და რეაგირების ეფექტიანობაზე.**

საქველმოქმედო ორგანიზაცია „იალქანის“ ხელმძღვანელი თეონა აბაშიძე მიუთითებს, რომ, აუცილებელია **დროული და სწორი რისკების შეფასება** ბავშვზე მომუ-

შავე რომელიმე უწყების მხრიდან, მიზნობრივ უწყებასთან რეფერირებითვის. მუნიციპალიტეტების ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლი გადავიდა **სხვა მუნიციპალიტეტში, კომუნიკაცია უნდა დამყარდეს აღნიშნულ მუნიციპალიტეტთანაც - რწმუნებულების, უბნის ექიმების ჩართულობით.** სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკი საუბრობს კონკრეტული საქმის - ეკონომიკური ძალადობის და უგულებელყოფის შესახებ: იდენტიფიცირება მოხდა ჯანდაცვის სპეციალისტის ვიზიტისას. მოზარდს გაეწია ჯანდაცვის მომსახურება სხვა მუნიციპალიტეტში, სადაც ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიმართეს წერილობით ეკონომიკური ძალადობის ფაქტზე (15 წლის მოზარდი მუშაობდა ღია კარიერზე). **აღწერილი შემთხვევა საგულისხმოა იმ მხრივ, რომ იკვეთება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება, კერძოდ - სამიზნე მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინიციატივით აწარმოა სატელეფონო მონიტორინგი, ვინაიდან მერიისგან, სადაც ბენეფიციარი საცხოვრებლად გადავიდა, უკუკავშირი არ მიუღია** (თუმცა აღმოჩნდა, რომ რეფერირების პროცესი მიმდინარეობდა) **- რაც, ამავე დროს, კოორდინირებული მუშაობის და კომუნიკაციის ხარვეზზე მიუთითებს.**

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის პროგრამების მონიტორინგი და შეფასება

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბავშვთა დაცვის განყოფილებების მონიტორინგი და **შეფასება ამ დრომდე არ გაკეთებულა,** თუმცა დარგის ექსპერტები და სპეციალისტები საუბრობენ მის **საჭიროებასა და აუცილებლობაზე.** ***„ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ კარგი პრაქტიკაც გამოვლინდეს და გამოწვევებიც,“*** - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, ყოფილი სოციალური მუშაკი ზრუნვის სააგენტოში.

„ერთადერთი მონიტორინგის განმახორციელებელი ჯანდაცვის სამინისტროა, მაგრამ არ გამიგია, რომ ამ ეტაპზე რაიმე ტიპის მონიტორინგს ახორციელებდეს,“- ნინო დავითაშვილი, UNICEF-ის სოციალური პოლიტიკის ოფიცერი.

რაც შეეხება მონიტორინგის ჩატარების სიხშირეს, ექსპერტების აზრით, **სასურველია, წელიწადში ორჯერ მაინც ტარდებოდეს,** თუმცა ეს დამოკიდებულია ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე.

ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების საქმიანობას სწავლობს ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა, რომელიც ახორციელებს აღნიშნული **განყოფილებების სუპერვიზირებას** და აწვდის მუნიციპალიტეტს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

ამას გარდა, გამოითქვა მოსაზრება შეფასების ფარგლებში **ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევის ჩატარების შესახებ.**
დამატებით, კვლევაში ჩართული პირები საუბრობენ ოჯახების/ქეისების მონიტორინგის შესახებ. სენაკის მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი მიუთითებს, რომ ოჯახების მონიტორინგი საჭიროების მიხედვით უნდა განხორციელდეს, როგორც კონკრეტული საქმე მოითხოვს.

ბავშვთა დაცვის განყოფილების სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის ხარისხი

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული კვლევის პროცესში გამოჩნდა, რომ სხვადასხვა უწყებასთან **კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო ზარების საშუალებით და პირადი კონტაქტებით, თუმცა თავად რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ურთიერთობები უნდა იყოს არა პირადი, არამედ ინსტიტუციურ საფუძველს ემყარებოდეს**. ბენეფიციარის საჭიროებებზე ზრუნვისას, ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს აქვთ მერიასთან, პოლიციასთან და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოსთან (ასევე ნახსენები იყო არასამთავრობო ორგანიზაციებიც). საბავშვო ბაღებთან და სკოლებთან კომუნიკაცია უფრო ინფორმირების ამაღლებას ემსახურება, ხოლო დანარჩენი - უშუალოდ კონკრეტული შემთხვევების მართვას. ძალზე დიდი მნიშნელობა აქვს **ინფორმაციის დროულ და სწორ გაცვლას სხვადასხვა უწყებას შორის და სწორ რეფერირებას.**

„რაც უფრო ბევრი უწყება ჩაერთვება, ვინც მუშაობს ბავშვთა თემაზე და ვისაც აქვს კომპეტენცია და უფლებამოსილება, მგონია, რომ უფრო მეტად შედეგიანი იქნება ჩვენი საქმიანობა სამომავლოდ... კარგი იქნება რაღაც პლატფორმა არსებობდეს იმისთვის, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ, გაცვალონ ინფორმაციები,“ - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ხელმძღვანელი.

„ზოგჯერ ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, რომ სხვადასხვა უწყების მოლოდინები ძალიან განსხვავებულია იმ უფლებამოსილებებისა და ვალდებულებებისაგან, რაც განყოფილებას, მის სხვადასხვა მუშაკს გააჩნია. მაგალითად - როდესაც არის ძალადობა: პოლიციაში გვთხოვენ ჩვენი ფსიქოლოგის ან სოც. მუშაკის დასწრებას, რაც არ არის სწორი და სცილდება ჩვენს გაწერილ უფლებამოსილებებს... კარგი იქნება, დაისვას საკითხი, რომ მომიჯნავე უწყებები, რომლებიც ჩართულნი არიან რეფერირებაში და ხდება მათი საქმიანობის გადაკვეთა ბავშვთა განყოფილებებთან, ფლობდნენ ინფორმაციას მათ უფლებამოსილებებზე, კომპეტენციასა და ვალდებულებებზე,“ - სამიზნე მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების წარმომადგენელი.

განყოფილებების ინსტიტუციური გაძლიერების, მასში შემავალი შტატის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გზები

კვლევის რესპონდენტების თანახმად, განყოფილებების საქმიანობის მაღალ სტანდარტთან მიახლოებას და ეფექტიანობის გაზრდას შემდეგი ფაქტორები შეუწყობს ხელს:

- კადრების გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება;
- განყოფილების სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობების დეტალურად გაწერა;
- კონკრეტული სამუშაო გეგმის წარდგენა მოსახლეობისთვის;
- ბიუჯეტის გაძლიერება;
- მუნიციპალიტეტის სერვისების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკის წარმოება (უნდა აღინუსხოს ყველა ის პირი, ვისაც გაეწია კონსულტირება, პრობლემის ადვოკატირება, გადამისამართება. სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელის თქმით, ასეთი შემთხვევების აღნუსხვა არ ხდება);
- კოორდინირებული მუშაობა მომიჯნავე უწყებებთან. ინფორმაციის გაცვლა მუნიციპალიტეტებს შორის, კონსულტაციები, შეხვედრები კოლეგებთან (გამოცდილების გაზიარება), მეთოდოლოგიური დახმარება - მათ შორის, ექსპერტის ჩართულობა განყოფილებებისთვის დახმარების გასაწევად;
- მუნიციპალური სერვისების აუთსორსინგის გზით მიწოდება. **ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ გაწეული ფსიქოლოგიური მომსახურება იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთა იდენტიფიცირება ბავშვთა დაცვის განყოფილებამ მოახდინა;**
- ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ახალი პროგრამების დანერგვა;
- მომიჯნავე ვალდებულებების (რომელიც, სამიზნე მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკის თქმით, პროფესიულ გადაწვას იწვევს) გამორიცხვა;
- ცნობიერების ამაღლების კამპანია (მაგ.: შეხვედრები სკოლებში, ბაღებში, მშობლებთან და ა.შ.). ***„პანდემიის დაწყებამდე ჩვენ სკოლებში არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ. დავიწყეთ გამოკითხვა, თუ რა თემები აინტერესებდათ ბავშვებს. სოციალურმა მუშაკმა, ინსპექტორმა და მე არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ სკოლებში. თითოეული თემა მივაწოდეთ მარტივ, ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე. ჰქონდათ ბევრი კითხვა...“*** - ნანა ნაჭყებია, ზუგდიდის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი;

- ბენეფიციართა გაძლიერების გრძელვადიანი პროგრამების დანერგვა - ***„ის თანხები, რაც აქვთ რიგ მუნიციპალიტეტებს ამ განყოფილებისთვის, შეიძლება გაიწეროს ბევრად უფრო მიზანმიმართულად, არა ერთჯერადი გასაცემლებისათვის, არამედ, მაგალითად, გაიწეროს კრიტერიუმები და აიყვანონ დაახლოებით 15 ბენეფიციარი და ეს ბენეფიციარები გრძელვადიანად გააძლიერონ. მაინც იდენტური ბენეფიციარები ჰყავთ სოციალურ განყოფილებებსა და ბავშვთა განყოფილებებს, ამიტომ შესაძლებელია, რომ უფრო მოწყვლადები შეირჩეს და მოხდეს მათი გაძლიერება,“*** - თინათინ ჭელიშვილი, იმერეთის განვითარების ცენტრის კოორდინატორი, თემის განვითარების ფასილიტატორი;
- მუნიციპალური პროგრამების შესრულების ხარისხზე და ეფექტიანობაზე მონიტორინგის განხორციელება;
- ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვა/დასაქმების პროგრამების დანერგვა/განვითარება;
- ფსიქოლოგის „როლის“ და ხელმისაწვდომობის გაზრდა კრიზისული ოჯახებისთვის (დებულებით გაწერილი უფლება-მოვალეობებით ფსიქოკონსულტირების გაწევის შესაძლებლობა ბენეფიციარისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის);
- სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარების სამედიცინო დაფინანსება და ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- არა ერთჯერად, არამედ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ფულადი დახმარების უზრუნველყოფა ბენეფიციარებისთვის;
- მუნიციპალიტეტის შეცვლის შემთხვევაში ბენეფიციარისთვის დაბრკოლების გარეშე კუთვნილი მომსახურების მიღების შესაძლებლობა;
- სრულად დაკომპლექტებული ბავშვთა დაცვის განყოფილებები;
- შენობაში სპეციალური სივრცის გამოყოფა ბენეფიციარებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება განყოფილების სპეციალისტთან ინდივიდუალურად გასაუბრება;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების და რეფერირების მექანიზმების გაძლიერება და, შესაბამისად, საჭიროებებზე მორგებული სერვისების სრულად მიღების შესაძლებლობის შექმნა (მაგ., სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების მიერ იგეგმება 4 სოციალური მუშაკის შტატის დამატება, რომლებიც იმუშავებენ მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლებთან, ზემოთ მითითებული მიზნის განსახორციელებლად. სასურველია აღნიშნული პრაქტიკა გავრცელდეს სხვა მუნიციპალიტეტებში).

დასკვნა:

ბავშვთა დაცვის განყოფილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად, მუნიციპალური სერვისების მრავალფეროვნებისთვის, კრიზისული ოჯახების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და დროული და სწორი რეფერირებისათვის, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება, მაგ.: უწყვეტი განათლების/კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ბენეფიციართა სტატისტიკის წარმოება, ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვა/დასაქმების პროგრამების დანერგვა, განყოფილების სპეციალისტების მომიჯნავე ვალდებულებების გამორიცხვა, ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განვითარება, მუნიციპალური პროგრამების ხარისხის მონიტორინგის განხორციელება და ა.შ. - რომლებიც, ძირითადად, ფინანსურ საკითხებზე და რელევანტური უწყებების კოორდინირებულ მუშაობაზე დაიყვანება. ამას გარდა, აუცილებელია მოსახლეობის (მათ შორის ბავშვთა კეთილდღეობის და საგანმანათლებლო სისტემებში ჩართული პირების) ცნობიერების ამაღლება, განყოფილების სპეციალისტების უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალადობის საკითხის ჰოლისტური აღქმა და სისტემური მიდგომა მისი გადაჭრისათვის.

რეკომენდაციები:

მუნიციპალიტეტებისთვის

- ბენეფიციარების საჭიროებათა უკეთ იდენტიფიცირებისთვის განხორციელდეს საჭიროებათა კვლევა და დადგინდეს კვლევის ჩატარების კრიტერიუმები; საჭიროებათა კვლევის საფუძველზე დაინერგოს/განვითარდეს შესაბამისი მუნიციპალური პროგრამები;
- კრიზისული ოჯახების სრულად იდენტიფიცირების და სერვისების დუბლირების თავიდან აცილების, აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის, გამოცდილების გაზიარების, კონსულტაციების გამართვის მიზნით, გაღრმავდეს კოორდინაცია რელევანტურ უწყებებთან;
- გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუნიციპალური სერვისის აუთსორსინგის გზით მიწოდებისათვის, საჭიროების შემთხვევაში;
- ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლები უზრუნველყოფილ იქნენ სატრანსპორტო საშუალებებით კრიზისულ ოჯახებთან პირისპირ კომუნიკაციის უკეთ განხორციელების მიზნით (განსაკუთრებით მთიან და მიუვალ სოფლებში);

- დაინერგოს მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურებას და ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ (განსაკუთრებით, რაიონული ცენტრიდან მოშორებით მცხოვრები, კრიზისული ოჯახის წევრი შშმ ბავშვებისთვის გამოიყოს საჭირო ტრანსპორტირების თანხა);
- განხორციელდეს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება: მოხდეს უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;
- გამოიყოს სპეციალური სივრცე ბენეფიციარებისთვის, სადაც იგი შეძლებს პირისპირ, ინდივიდუალურად გაესაუბროს მისთვის საჭირო სპეციალისტს;
- მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციარების კონფიდენციალურობა - დოკუმენტაცია იყოს სათანადოდ დაცული და თავიდან იქნეს აცილებული „გარეშე პირის“ (ე.ი. პირის, ვინც უშუალოდ, კონკრეტული ბენეფიციარის საქმეზე არ მუშაობს) წვდომა. თუმცა აღნიშნული არ უნდა გახდეს რელევანტურ უწყებებთან (ე.ი. უწყებებთან, რომლებიც უშუალოდ, მულტიგუნდური პრინციპით არიან ჩართული ბენეფიციარის „საქმეში“) ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციის გაზიარების შეზღუდვის საფუძველი;
- გამოიყოს დამატებითი სპეციალისტები/საშტატო ერთეულები ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სრულად დაკომპლექტებისათვის და, სასურველია, დაემატოს მოთხოვნადი სპეციალისტები და/ან საშტატო ერთეულები (მაგ.: ფსიქოლოგი და/ან სოციალური მუშაკი);
- მეტად ინტენსიური გახდეს არსებული სოციალური მუშაკების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლა/ბაღი) ურთიერთობა, ცნობიერების ამაღლების, კრიზისული ოჯახის იდენტიფიცირების და რეფერირების მიზნით;
- დეტალურად გაიწეროს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლების ფუნქცია-მოვალეობები - განსაკუთრებით განყოფილების ინსპექტორის; თავიდან იქნეს აცილებული მომიჯნავე ვალდებულებებით განყოფილების სპეციალისტების დატვირთვა;
- განხორციელდეს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლების შესაბამისი რესურსებით და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა;
- გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ცენტრალური ფიგურების - სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის როლი და არ შემოიფარგლოს მხოლოდ სკრინინგით და ნარატიული შეფასებით. ფსიქოლოგს მიეცეს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს ბენეფიციართან მუშაობაში (ფსიქოკონსულტირება).

- განხორციელდეს მუნიციპალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა სტატისტიკის წარმოება (აღინუსხოს პირები, ვისაც მაგ., გაეწია კონსულტირება, ადვოკატირება, განხორციელდა რეფერირება);
- მოხდეს ახალი პროგრამების გამრავალფეროვნება ბენეფიციარების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით (შესაბამისი დაფინანსებით);
- დაინერგოს ბენეფიციართა გაძლიერების გრძელვადიანი პროგრამები, რომლებიც მათ (და მათი ოჯახების) ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება ფოკუსირებული - სასურველია, ხელი შეეწყოს დასაქმების პროგრამების განვითარებას.
- ბენეფიციარს, სხვა მუნიციპალიტეტში გადასვლის შემთხვევაში, საშუალება მიეცეს ყოველგვარი ბარიერის გარეშე მიიღოს კუთვნილი მომსახურება ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. ამისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტებს შორის აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობის გაძლიერება.

საქართველოს მთავრობას - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას

- სასურველია, განისაზღვროს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების დაფინანსების წესი;
- განისაზღვროს: საკანონმდებლო სტანდარტების აღსრულების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი უწყებები; ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების კადრების დაკომპლექტების წესი; რეფერირების მექანიზმები;
- სასურველია, მკაფიოდ გაიმიჯნოს ბავშვთა დაცვის განყოფილების სპეციალისტების ფუნქციები და თავიდან იქნეს აცილებული მომიჯნავე ვალდებულებები;
- სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების ბენეფიციარები და განყოფილების პროგრამებში ჩართვის/სერვისების მიღების წესი;
- შემუშავდეს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციარებთან (კონკრეტულ საქმეებზე) მუშაობის ერთიანი წესი.

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- განხორციელდეს პროფესიული/საკვალიფიკაციო/სასერტიფიკაციო ტრენინგების ორგანიზება ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი, სამართლის სპეციალისტი, ინსპექტორი) უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისათვის. განისაზღვროს ტრენინგების ციკლის სიხშირე და ხანგრძლივობა;
- განხორციელდეს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებების და მისი პროგრამების შესრულების ხარისხის და ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება. განისაზღვროს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების სიხშირე;
- დეტალურად გაიწეროს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განმახორციელებელი პირების პროფესიული სტანდარტი;
- დეტალურად გაიწეროს ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბენეფიციარების რეფერირების პროცედურები;
- განხორციელდეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით (ძირითადად, ADHD და აუტისტური სპექტრის მქონე) სასწავლო დაწესებულების პედაგოგების ცნობიერების ამაღლება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს/საბავშვო ბაღების გაერთიანებას

- ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება;
- სკოლებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების ორგანიზება;
- საბავშვო ბაღებში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების ორგანიზება;
- თანამშრომლობის გაძლიერება მანდატურის სამსახურთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- სოციალურ მუშაობაში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა/გადამზადება.

ბიბლიოგრაფია:

1. **Adapting a Systems Approach to Child Protection: Key Concepts and Considerations.** Fred Wulczyn, Deborah Daro, John Fluke, Sara Feldman, Christin Glodek, Kate Lifanda © 2009 by Chapin Hall at the University of Chicago. 1313 East 60th Street. Chicago, IL 60637.

2. **Briefing on the German Child Protection System.** Hestia. ***Susanne Witte, Laura Miehlbradt, Eric van Santen & Heinz Kindler.*** September 2016.

3. **Child and Family Social Work 2002, 7,** © 2002 Blackwell Science Ltd.

4. **Child Protection in Families Experiencing Domestic Violence.** H. Lien Bragg, 2003. Child Abuse and Neglectuser Manual Series. U.S. Department of Health and Human Services Administration for Children and Families Administration on Children, Youth and Families Children's Bureau Office on Child Abuse and Neglect.

5. **Child Rights Situation Analysis of children at risk of losing parental care & children who have lost parental care 2012.** SOS Children's villages Georgia. GASW.

6. **Children as Victims of Violence in the Municipalities of Bujanovc and Presevo: The Forms of Manifestation.** Journal of Modern Education Review, ISSN 2155-7993, USA. September 2014, Volume 4, No. 9, pp. 699–708 Doi: 10.15341/jmer(2155-7993)/09.04.2014/006 № Academic Star Publishing Company, 2014.

7. **County Governor** - Statsforvalteren.no. Child protection - https://www.statsforvalteren.no/en/portal/Children-and-parents/Child-protection/

8. **Efforts by Child Welfare Agencies to Address Domestic Violence: The Experiences of Five Communities.** Laudan Y. Aron and Krista K. Olson The Urban Institute. March 1997.

9. **Home Office Research Study 290.** Tackling Domestic Violence: effective interventions and approaches Marianne Hester and Nicole Westmarland. Home Office Research, Development and Statistics Directorate February 2005.

10. **Ministry of Social Affairs and Health** – Finland - https://stm.fi/en/social-services/child-welfare

11. **My Municipality, My Social Right. Monitoring Report on the Process of Decentralisation of Social Services.** March 2020. Authors: **Bukurezë Surdulli,** Monitoring and Research Specialist in KOMF; **Donjetë Kelmendi,** Executive Director in KOMF.

12. **Practice Standards for Perpetrator Intervention: Engaging and Responding to Men who are Perpetrators of Family and Domestic Violence.** Department of Attorney General and Justice (2012). Published by the Department for Child Protection and Family Support, Family and Domestic Violence Unit 2015.

13. **Strengthening Child Protection Systems. Save the Children.** Published by Save the Children UK 1 St John's Lane, London, EC1M 4AR, UK. © Save the Children 2019.

14. **The Lithuanian child rights protection system. State Child's Rights Protection and Adoption Service** (under the Ministry of Social Security and Labour)

15. **The Role of Local Governments in the Protection of Children Rights Based on the Law of Child Protection.** By: Laurensius Arliman S. Graduate Student of Andalas University Limau Manis, Padang, West. August 2017.

16. **Violence Against Women. Public policies on domestic violence.** Gender, Ethnicity and Health Unit. Pan American Health Organization (regional office of World Health Organization).

17. ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ 85 (1-2)

18. გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ", მ19.

19. ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია), მ.26, 1-2.

20. საქართველოს კონსტიტუცია, მ30.2პ.

21. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი გვ. 449, 2013

22. სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ გვ. 269, 2021 წ.

23. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" (№24 2019 წლის 23 სექტემბერი)

24. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 23 სექტემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", მ.5(8,9,10,11,12)

ქალთა ფონდი „სოხუმი“

მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობდა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ნინო კორინთელი

ლიდა ჩიხლაძე

ეკატერინე გამახარია

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:

ქალთა ფონდი „სოხუმის“ ქუთაისის სათაო ოფისის

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ემა კამკია, გურანდა გვანცელაძე, თეა გოლეთიანი

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ,
საოფისე ფართი №2

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა:

womansukhumi@gmail.com

fundsukhumitbilisi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდები:

www.facebook.com/fsokhumi

https://www.facebook.com/WFSTbilisiOffice